ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 21 - 22 აპრილი, 2018 | №93 (7638) | ფასი: 50 თეთრი

## რა პროფესიის არიან და სად მიიღეს უმაღლესი განათლება ქართველმა მინისტრებმა



გვ.2

19 აპრილიდან
120 ამბავი
ალექსანდრე მაკედონელი




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

# „სააკაშვილის დაბრუნება გადაწყვეტილია, ივანიშვილი ამერიკისგან უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვს“



გვ.3

ჯელალ ქიქავა: „სექსით გამძღარმა „ოცნებამ“ ყოფილი პრემიერი უარყო“

## „25 წლის გოგონას მკვლელი უვნებლად აიყვანეს, უდანაშაულო თემირლანს კი შუბლში ესროლეს“



გვ.2

რა პრეტენზიები აქვს პანკისის მოსახლეობას

## „კალაძემ ახლა რომ დაიწყოს ჭიდაობა ივანიშვილთან, გაისრისება“




## ვახტანგ მაისაია: „ამერიკამ სირიაზე დარტყმით რუსეთს ძალა აჩვენა“

„სამხედრო თვალსაზრისით ეს შეტევა უშედეგო გამოდგა“



გვ.5



გვ.4

## თორნიკე შარაშენიძე: „საპრეზიდენტო არჩევნებამდე „ოცნება“ არ დაიშლება“




## ლაგოდეხში 25 წლის ქართველმა მესაზღვრემ თავი მოიკლა

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის მონაკვეთზე ქართველმა მესაზღვრემ თავი მოიკლა. მომხდარს საგამოძიებო უწყებებში უკვე ოფიციალურად ადასტურებენ.

შემთხვევა ლაგოდეხის მეორე სექტორზე (კობახჩო) მოხდა. გარდაცვლილი მეხუთე სამმართველოს გუშაგი იყო.

იმედინიუსის ინფორმაციით, გარდაცვლილია 25 წლამდე მამაკაცი. ფაქტზე გამოძიება საქართველოს მთავარმა პროკურატურამ 115 მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ეკონომიკა გვ.6

## ელიავას ბაზრობის რომელი პროექტის დამტკიცებას ითხოვენ მერიისგან



## ლომბარდებში გადახდისუუნარო კლიენტების მიმართვიანობა გაიზარდა



## პირველი ელექტროავტობუსი თბილისში მომავალი კვირიდან გამოჩნდება




ISSN 1987-9385
9 771987 938006

**6** „თბილისელები სამსახურს ყველაზე ხშირად ახლობლის, ნაცნობის რეკომენდაციით იწყებენ“

**3** კონტრაბანდის ზრდის მიუხედავად, სიგარეტის გაყიდვები არ შემცირებულა

**5** „ღამის ეკონომიკა გულისხმობს იმას, რომ საღამოს 8 საათიდან ქალაქში განსხვავებული ღონისძიებები იწყება“

**4** პოლიეთილენის პარკების გამოყენების აკრძალვის შესახებ ინიციატივა მთავრობაში დასამტკიცებლად უახლოეს მომავალში შევა

# „25 წლის გოგონას მკვლელი უვნებლად აიყვანეს, უდანაშაულო თემირლანს კი შუბლში ესროლეს“

## რა პრეტენზიები აქვს პანკისის მოსახლეობას

ნათია ხურცილავა

პანკისის ხეობის წარმომადგენელი **მექა ხანგოშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პანკისის ხეობის მოსახლეობის მოთხოვნებზე საუბრობს.

***– ქალბატონო მექა, პანკისის ხეობაში აქცია გაიმართა. რა მოთხოვნები აქვთ პანკისელებს და მათი განწყობები თუ არის თქვენთვის ცნობილი?***

– თავისთავად, პანკისის ხეობის მოსახლეობის განწყობები ცნობილია. ტრაგედიის დღიდან, რომელიც მაჩალიკაშვილების ოჯახს ეხება, ხეობა ერთიანია და ერთიან პოზიციაზე დგას. ხეობის მოსახლეობის ამ ეტაპზე თხოვნა, იმედია, მოთხოვნაში არ გადაიზრდება, არის ის, რომ მოხდეს ობიექტური გამოძიება და გამამართლებელი განაჩენი დადგეს ამ საქმეზე.

ასევე, რაც მთავარია, ერთხელ და საბოლოოდ უნდა დასრულდეს პანკისის ხეობის მოსახლეობისთვის ტერორისტების იარლიყის მიკერება. ეს არის ხეობის მოსახლეობისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხი.

***– მოსახლეობა ითხოვს, რომ თემირლან მაჩალიკაშვილს ჩამოშორდეს ტერორიზმის ბრალდება?***

– რა თქმა უნდა. ასევე, იმ დაკავებულებსაც, რომლებიც ამ ბრალდებით არიან, რადგან, ჩვენი ინფორმაციით, სახელმწიფოსაც კი არ ჰქონდა ორი თვის განმავლობაში ინფორმაცია, რომ ის ჩამოსულები ტერორისტები იყვნენ და ამ ადამიანებს საიდან ეცოდინებოდათ?! ისინი მეგობრობდნენ იმ ადამიანებთან, მაგრამ მათ შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ.

ჩვენთვის ამ ეტაპზე ყველაზე მთავარია, რომ პანკისის ხეობის მოსახლეობას არ დარჩეს ტერორისტის იარლიყი მიწებებული.

***– თუმცა დაკავებულ პირებთან დაკავშირებით გამოძიება ჯერ ხომ არ დასრულებულა და შედეგიც არ დამდგარა.***



– დიახ და ამიტომაც ჩვენც ველოდებით გამოძიების შედეგებს, რა დასკვნას დადებს გამოძიება. ეს აინტერესებს მთელ პანკისის ხეობას. ამ ეტაპზე ჩვენ ვითხოვთ, რომ თემირლან მაჩალიკაშვილის მიმართ დადგეს ობიექტური განაჩენი და მისი სახელი ტერორიზმთან არ იყოს დაკავშირებული. უკვე ნათელია, რომ არანაირი შემხებლობა ამ ახალგაზრდას ტერორიზმთან და ტერორისტებთან არ ჰქონია.

***– როგორია მალხაზ მაჩალიკაშვილის პოზიცია?***

– მისი პოზიციაა, რომ დღეს მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მისი შვილის სახელის გადარჩენა, რომ მისი შვილის მიმართ ობიექტური განაჩენი დადგეს და მის შვილს მოეხსნას ტერორიზმში თანამონაწილეობის ბრალდება. თუმცა, ბრალდება წაყენებული არც აქვს, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია.

***– ხელისუფლებასთან პანკისის ხეობის მოსახლეობის მთავარი პრეტენზია დღეს რა არის?***

– ხეობის მოსახლეობის ყველაზე მთავარი პრეტენზია მაინც სპეცოპერაციის ფორმებსა და მეთოდებს უკავშირდება. არავინ ამბობს, რომ თუ სახელმწიფოს აქვს რეალური ინფორმაცია, მან ამაზე რეაგირება არ მოახდინოს. ამაზე არავინ საუბრობს. აქ საუბარია ფორმებსა და მეთოდებზე, დამოკიდებულებაზე.

ხშირად ბრეივიკის მაგალითი მომყავს, რომელმაც 75 ადამიანი სიცოცხლეს გამოასალმა. მას აქვს პრეტენზიები, უნივერსიტეტში სწავლა-განათლების მიღებას ითხოვს და სწავლობს კიდეც. თუნდაც ახლახან მომხდარი ფაქტი, როდესაც 25 წლის გოგონას შვილების თვალწინ ყელი გამოსჭრეს, ასეთი სისასტიკის ჩამდენი პირი სრულიად უვნებელი აიყვანეს და უდანაშაულო 19 წლის ბავშვი, რომელიც საკუთარ ლოგინში იწვა, ასე როგორ გაიმეტეს, ასე როგორ გაუსწორდნენ, პირდაპირ შუბლში ესროლეს და დახვრიტეს.

ამაზე გვაქვს პრეტენზიები, ამაზე გვაქვს მიუღებლობა. სპეცოპერაციის მეთოდები და ფორმები ჩვენთვის მიუღებელი იყო. სანამ არ მოხდება გამოძიება და გამოძიება არ დადებს ობიექტურ სურათს, მანამდე ხელისუფლების მაღალჩინოსნების მხრიდან პანკისელი ახალგაზრდების, ყველას ერთად ტერორიზმში დადანაშაულება და ტერორისტად მოხსენიება ჩვენთვის მიუღებელია.

***– ეს აქცია რასთან არის კავშირში – გამაფრთხილებელი სახისაა თუ კონკრეტული მიზეზით გაიმართა?***

– თემირლან მაჩალიკაშვილის მამა, ოჯახი, ამდენი ხანია, ელოდება შედეგს, ასევე, ცნობილი გახდა, რომ სამხილები განადგურდა. ამან ყველაფერმა ძალიან დიდი უნდობლობისა და უიმედობის განცდა გამოიწვია, რაც ძალიან სამწუხაროა. ეს აქცია არანაირად არ არის არამშვიდობიანი და კანონიერ ზღვარს გადასული. აქცია მშვიდობიანია, უბრალოდ, ამ ფორმით ადამიანები ცდილობენ თავიანთი სატკივრისა და სათქმელის ხელისუფლებასთან მიტანას.

***– ხეობის უხუცესების განწყობა იდენტურია?***

– თავისთავად.

***– ხელისუფლების მაღალჩინოსანთან ითხოვთ შეხვედრას?***

– რასაკვირველია, ეს ცუდი არ იქნებოდა. პირიქით, კარგიც და გარკვეული შედეგის მომტანიც კი იქნებოდა, გააცნოს ოჯახს გამოძიების მიმდინარეობა, შედეგი. თუმცა ოჯახი შეხვდა მთავარ პროკურორს, მაგრამ იქიდან არავითარი დამაიმედებელი არ ყოფილა. ამ საკითხთან დაკავშირებით, ზოგადად, სპეცოპერაციასთან დაკავშირებით არცერთი მაღალი თანამდებობის პირი, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს ვგულისხმობ, ხეობაში არ ჩამოსულა.

ერთ-ერთი ახალგაზრდა ამბობდა, როგორც კი მათთვის საინტერესო თემა გახმოვანდა და როგორც კი ხეობის მოსახლეობამ ამაზე პროტესტი გამოთქვა, მაშინვე მაღალი თანამდებობის პირები ჩამოვიდნენ ხეობაში.

***– რას გულისხმობთ?***

– ინვესტორის ინტერესს ვგულისხმობ, რომლის წინააღმდეგაც ხეობის მოსახლეობამ პროტესტი გამოთქვა.

# რა პროფესიის არიან და სად მიიღეს უმაღლესი განათლება ქართველმა მინისტრებმა

საქართველოს სულ 14 სამინისტრო აქვს და, შესაბამისად, 14 მინისტრი და პრემიერია.

„ბიზნესპრენიუსი“ დაინტერესდა, რა პროფესიის არიან და სად მიიღეს უმაღლესი განათლება ქართველმა მინისტრებმა.

მთავრობის მეთაურმა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა 1992 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მედიცინის დარგში ბაკალავრის ხარისხი მიიღო. 1995 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკაში ბაკალავრის ხარისხი მიიღო. 1998 წელს კი ამერიკის შეერთებულ შტატებში ილინოისის უნივერსიტეტში ფინანსები დარგში მაგისტრატურა დაამთავრა.

პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილს 1989-1991 წლებში თსუ-ში ფიზიკის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. 1992-1998 წლებში იმავე უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობით აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი დაამთავრა, ხოლო 2005-2007 წლებში „Cerma School of Management“-ში ბიზნესადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე ისწავლა.

* * *

ვიცეპრემიერს, საგარეო საქმეთა მინისტრ მიხეილ ჯანელიძეს 1998-2002 წლებში საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის დიპლომი აქვს მიღებული. 2003-2006 წლებში რუსეთში საერთაშორისო სამართლის ასპირანტურა აქვს დამთავრებული. 2008-2010 წლებში კი ჯანელიძემ კავკასიის ბიზნესსკოლაში საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი მიიღო. 2008-2010 წლებში საფრანგეთში გრენობლის ბიზნესსკოლაში ბიზნესადმინისტრირების მაგისტრატურა დაამთავრა.

* * *

ვიცეპრემიერმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ 1992-1994 წლებში თსუ-ში ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა. 1994-2000 წლებში რუსეთში, ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში პოლიტოლოგიის ფაკულტეტზე ისწავლა და პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი მიიღო. 2002-2004 წლებში კი იმავე უნივერსიტეტში ბიზნესის მართვის მაგისტრის ხარისხი მიიღო.

* * *

ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ თსუ დაამთავრა, ასევე ფლობს ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს. ბახტაძე არის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი. 2010 წელს მას INSEAD-ის ბიზნესსკოლაში MBA-ის კვალიფიკაცია მიენიჭა.

* * *

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა თსუ-ს მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრა. მიხეილ ჩხენკელმა ამერიკის შეერთებულ შტატებში დაამთავრა პენსილვანიის უნივერსიტეტის დოქტორანტურა, სადაც მას მათემატიკის დოქტორის მეცნიერებათა ხარისხი მიენიჭა.

* * *

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ 1987 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტი დაამთავრა. 1991 წელს კი მოსკოვის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში ინტენსიური თერაპიის მიმართულებით ისწავლა. მინიჭებული აქვს სახელმწიფო სერტიფიკატი ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგია კრიტიკული მედიცინის დარგში.

* * *

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრ სოზარ სუბარს 1985 წელს დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, ეთნოგრაფიის სპეციალობით. 1995 წელს კი თბილისის სასულიერო აკადემიაში, თეოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა.



* * *

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი 1995 – 1999 წლებში თსუ-ში ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლობდა. 1999-2001 წლებში იმავე უნივერსიტეტში საერთაშორისო ბიზნესის მართვის მაგისტრის ხარისხი მიიღო. 2002- 2003 წლებში კი MIP მილანში ბიზნესის მართვის მაგისტრი ხარისხი აქვს მიღებული.

* * *

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა თსუ-ში საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტი დაამთავრა, ასევე პრაღის ეკონომიკის უმაღლეს სკოლაში – საერთაშორისო ვაჭრობის ფაკულტეტზე სწავლობდა, რის შემდეგაც სწავლა თბილისში, კავკასიის ბიზნესსკოლაში განაგრძო.

* * *

კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ გიორგაძე 1984-1991 წლებში თსუ-ს ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი იყო. 1991 წელს კი ევროპული მენეჯმენტის პროგრამა ბრიუსელში გაიარა.

* * *

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ 1991-1996 წლებში თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. 1998-1999 გერმანიის ქალაქ გოტინგენის გეორგ-აუგუსტის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურა დაამთავრა. 1999-2002 გერმანიის ქალაქ გოტინგენის გეორგ-აუგუსტის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურა მიიღო.

* * *

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი 1992-1997 წლებში სწავლობდა თსუ-ს საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე. პარალელურად, სწავლობდა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ დიპლომატიის აკადემიაში. 2000 წელს თეა წულუკიანმა სახელმწიფო მართვის სკოლა დაამთავრა და დაიცვა მაგისტრის ხარისხი საჯარო ადმინისტრაციაში (MPA). 2005 წელს თეა წულუკიანმა მიიღო უფროსი იურისტის საკლასო ჩინი.

* * *

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი კახა კახიშვილი თსუ-ში იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა, გარდა ამისა, თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლაში ისწავლა. პროკურატურის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო გამოცდები ჩააბარა. ასევე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დოქტორანტის ხარისხი მიიღო.

* * *

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ქეთევან ციხელაშვილმა 1995-1999 წლებში დაამთავრა თსუ საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით. 1999-2000 წლებში უნგრეთში, ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპული კვლევების მაგისტრის ხარისხი მოიპოვა. 2007 წელს ირლანდიაში, ლიმერიკის უნივერსიტეტში ევროპული ინტეგრაციის საკითხებში საზაფხულო კურსი გაიარა. 2006 წლიდან ციხელაშვილი არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სააკაშვილის დაბრუნება გადაწყვეტილია, ივანიშვილი ამერიკისგან უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვს“

## ჯელალ ქიქავა: „სექსით გამძღარმა „ოცნებამ“ ყოფილი პრემიერი უარყო“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ ადარებენ მმართველი გუნდის დეპუტატები ერთმანეთს მულტფილმების პერსონაჟებს, რატომ დუმს ივანიშვილი, რას სთხოვს ის აშშ-ს და ევროპას, როდის დაბრუნდება სააკაშვილი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ორგანიზაცია „სამართლიანობა და დემოკრატიის პრინციპების“ ხელმძღვანელი **ჯელალ ქიქავა** ესაუბრება.

***– „ქართული ოცნების“ წევრები ერთმანეთს უკვე მულტფილმის პერსონაჟების სახელებით მოიხსენიებენ. თქვენი აზრით, ეს რისი მანიშნებელია?***

– ეს იმის მანიშნებელია, რომ ბიძინა ივანიშვილს გადაწყვეტილება მიღებული არა აქვს. არ იცის, ვის უნდა დაუჭიროს მხარი, ბებრებს თუ ახალგაზრდებს. პროცესებში მხოლოდ იმიტომ არ ერევა, რომ არც ერთის იმედი არა აქვს. ესენიც ჭამენ ერთმანეთს და ახლა თუ მულტფილმის პერსონაჟებს ადარებენ ერთმანეთს, მალე პოლიტიკურ მკვდრებს დაემსგავსებიან.

დაიმახსოვრეთ, რასაც ახლა ვიტყვით – „ქართული ოცნება“ დასრულდა და მისი საშველი აღარ არის. ისე აიჭრა სიტუაცია, რომ ივანიშვილმაც კი არ იცის, რომელი მხარე გაიმარჯვებს. ელოდება, ძველები შეჭამენ ახლებს თუ ახლები ძველებს. ამათ დაუჭამიათ ერთმანეთი, მაგრამ ამასობაში ქვეყანა იშლება.

სიტუაციის დასარეგულირებლად ამ კვირაში აპირებდნენ საპარლამენტო უმრავლესობის სხდომის გამართვას. რამდენჯერმე შეცვალეს თარიღი. ბოლოს თქვეს, რომ შეხვედრა მომდევნო კვირაში გაიმართება. ისინი ამას ვერც მომავალ კვირაში მოახერხებენ.

***– რატომ ვერ მოახერხებენ?***

– ახლა უმრავლესობის სხდომა რომ გაიმართოს, მულტფილმების პერსონაჟებიდან „ხიშნიკებად“ გადაიქცევიან და დაჭამენ ერთმანეთს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

***– თქვენ ზემოთ თქვით, რომ ივანიშვილმაც არ იცის, რომელი ფრთა გაიმარჯვებსო. ექსპერტების ნაწილი თვლის, რომ გამარჯვებულის გამოვლენა მასზეა დამოკიდებული.***

– აქამდე ეს მართლაც მასზე იყო დამოკიდებული, მაგრამ ახლა სიტუაცია შეიცვალა და მანაც არ იცის, რომელი ფრთა დარჩება გამარჯვებული. ყოფილი პრემიერი მის მიერ შექმნილ პარტიას ვეღარ აკონტროლებს.

***– რას ნიშნავს, პარტიას ვეღარ აკონტროლებს?***

– იმას, რომ დაკარგა პარტიაზე კონტროლი. ის ვერც ბებრებს აკონტროლებს და ვერც – ახალგაზრდებს. კონტროლი დაკარგული რომ არ ჰქონოდა, არც დაპირისპირებამდე მივიდოდა საქმე. მულტფილმის პერსონაჟებიც მაგარ შარში არიან, არ იციან, ვის დაუჭერს მხარს მათი ლიდერი. ამ გაურკვევლობას ეჭვიანობაც ემატება.

***– ვისზე ან რაზე ეჭვიანობენ?***

– „ევროპულ საქართველოზე“.

***– გავრცელებული ინფორმაციით, ამ დაპირისპირების დაწყებამდე ივანიშვილი „ევროპული საქართველოს“ ლიდერებს – გიგა ბოკერიას და გიგი უგულავას შეხვდა. თქვენი აზრით, შედგებოდა ასეთი შეხვედრა?***

– რატომ არ შედგებოდა ვითომ ასეთი შეხვედრა, რა არის ამაში საეჭვო? ყველამ საკუთარი ყურით მოისმინა, თუ რა განცხადება გააკეთა „ევროპულმა საქართველომ“ რუსთავი 2-თან მიმართებაში. ამით მათ დაამტკიცეს, რომ მოღალატეები და ივანიშვილის ხურდა-ფულში მოყოლილი პარტია არიან.

„ევროპული საქართველო“ ყოფილმა პრემიერმა შექმნა და იმედი ჰქონდა, რომ ამით ნაციონალურ მოძრაობას დაამთავრებდა. იცით, რა იყო მიშა სააკაშვილის ყველაზე დიდი დანაშაული? 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყების შემდეგ საქართველოდან ძალიან ბევრი თანამდებობის პირი გაიქცა. მიშამ ეს ხალხი ხელისუფლებიდან არ გაყარა. „ევროპული საქართველოს“ შემადგენლობის 80%-მა საქართველო ომის დღეებში დატოვა.



***– სააკაშვილი ახსენეთ და ნაციონალები მის დაბრუნებაზე აქტიურად ალაპარაკდნენ. ნიკა მელია ამბობს, რომ მესამე პრეზიდენტი საქართველოში უპრობლემოდ და ჩვეულებრივი ბილეთით დაბრუნდება.***

– მიშა საქართველოში მართლა უპრობლემოდ დაბრუნდება. მას ყველა დიდი სიხარულით შეხვდება. პირადად მე ყველანაირად დავეხმარები მიშას, რომ საქართველოში დაბრუნდეს.

***– რატომ ხართ ასეთი დარწმუნებული, რომ დაბრუნდება?***



– იმიტომ, რომ კარგად ვხედავ, რა ხდება ქვეყანაში. აქედან გამომდინარე ხმამაღლა ვამბობ – მიშა ჩამოვა და ძალიან მალე.

***– მან რამდენჯერმე დააანონსა ქვეყანაში დაბრუნდება, მაგრამ ვერ გაბედა.***

– მე ვერ ვიტყვი, რომ ვერ გაბედა. მაშინ ის უკრაინაზე იყო გადართული, ახლა საქართველოა მისი მთავარი საზრუნავი და აუცილებლად დაბრუნდება. მას საქართველოში დასაბრუნებლად ერთი ადგილიც აქვს და აქ მას ხალხი ელოდება.

***– ქართულ ფრონტზე მისი გააქტიურება „ოცნებაში“ არეულობას დაემთხვა. ეს პროცესები ერთმანეთთან კავშირში ხომ არ არის?***

– არა, არა, მიშას გამო არ არეულან. მეგონა, რომ უფრო ადრე დაიწყებდნენ ერთმანეთის დაჭმას. სხვა რა გზა ჰქონდათ დარჩენილი? ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ და ქვეყნის მართვა ვერ შეძლეს. სამაგიეროდ, სექსით და ფულით გაძღნენ. რა უნდა ელაპარაკო იმ ხალხის, ვისაც სკამების და სექსის მეტი არაფერი არ აინტერესებს.

მიშას სექსებზე ლაპარაკობდნენ სულ და გადააჭარბეს. მაშინ სექსი იყო, მაგრამ საქმესაც აკეთებდნენ. ესენი სექსობენ და ერთმანეთს ჭამენ მხოლოდ. ბევრჯერ ვახსენე სიტყვა სექსი, მაგრამ ამგენი მეტს არაფერს აკეთებენ. აი, ეგაა „ოცნება“.

სააკაშვილთან შეიძლება რაღაც პრეტენზიები იყო, მაგრამ საქმე კეთდებოდა. ახლა რა ხდება, ჩაკვდა ყველაფერი. გადარეულია ხალხი, არ იციან, სად გაიქცნენ. ხალხს სცივა და შია. დამისახელეთ ერთი რეგიონი მაინც, სადაც რამე კეთდება. ბათუმი მიშამ გააკეთა და ეს „ოცნებამ“ არ დაიბრალოს. სამაგიეროდ, ბიძინამ გადათხარა მთელი აჭარა.

***– ხალხი ხეების მოთხრას არ აპროტესტებს?***

– რა აზრი აქვს? მაინც ამოთხრის. ბიძინას დენდროლოგიური გატაცება ჩვენს კუთხეს ეკოლოგიურ კატასტროფას უქადის, მაგრამ მშიერი ხალხი ამას აღარ უყურებს.

***– აჭარაში ხალხს შია?***

– შია და რატომ გაგიკვირდათ? ნორმალური ხელისუფლების პირობებში აქაურობა უნდა დუღდეს და გადმოდუღდეს, მაგრამ არ არიან ესენი ნორმალურები. აჭარას აქვს ზღვა და, შესაბამისად, აქვს პორტი, ვართ საზღვრისპირა რეგიონი და არის საბაჟო, გვაქვს მთაც, მაგრამ რად გინდა, მთელი აჭარა შიმშილობს.

აჭარის რეგიონი რომ ასეთ გაჭირვებაშია, წარმოიდგინეთ, რა ხდება სხვა რეგიონებში. დაქცეულია და გაუბედურებული მთელი ქვეყანა, მის მოსახლეობასთან ერთად. იმ ზომამდეა მისული ხალხი, რომ მალე ქუჩაშიც გამოვლენ.

***– ხალხის ასეთ განწყობაზე ბევრი საუბრობს, მაგრამ ქუჩაში გამოსული არავინ გვინახავს.***

– იმიტომ არ გამოდიან, რომ ლიდერი არ ჰყავთ. ამ ტვირთის საკუთარ თავზე აღება არავის არ უნდა. ერთხელ იყო საუბარი, რომ ბათუმში აქციები დაგვეწყო. მკითხეს, ავიღებდი თუ არა ამ აქციების ლიდერობას საკუთარ თავზე. ამაზე უარი ვუთხარი.

***– რატომ უთხარით უარი?***

– ახლა თუ ხალხი ქუჩაში გამოვა, ქვეყანა წააგებს. ეს პროცესი უკონტროლო გახდება. აღელვებული ხალხის გაჩერებას მე ვერ შევძლებ და ამიტომაც შევიკავე თავი.

***– 2003-2004 წელს არ შეგეშინდათ, რომ სიტუაცია კონტროლიდან გამოვიდოდა? ასლან აბაშიძის წინააღმდეგ აქციები საკმაოდ მძიმე სანახავი იყო. ხშირად გიწევდათ პოლიციასთან და სპეცრაზმთან შეტაკებები.***

– მაშინ სულ სხვა სიტუაცია იყო. მაშინ საქართველოში მიშას სახით იყო ლიდერი, რომელიც ხალხის გაჩერებას შეძლებდა. ახლა ასეთი ლიდერი არ არის. ერთადერთი, ვინც ახლა ლიდერის ფუნქციას შეასრულებს, სააკაშვილია. სხვას ხალხი არ გაყვება.

***– რატომ არ გაყვება?***

– იმიტომ, რომ არავის აღარ ენდობიან – თავისი სახე ყველამ აჩვენა.

***– ახალი ლიდერი რომ გამოჩნდეს, არც მას გაჰყვებიან?***

– არა.

***– ივანიშვილს ძალიან კარგად გაჰყვნენ.***

– მერე რა მიიღეს? სექსით გამძღარი ხელისუფლება და დაქცეული ქვეყანა. ისეა ხალხი იმედგაცრუებული, ბიძინაზე მდიდარი რომ გამოჩნდეს ვინმე, იმასაც არ დაუჯერებენ. საქართველოში მიშას გარდა ლიდერი არ არის. ჩამოვა მიშა და ყველაფერი შეიცვლება.

გამიგონია, რომ ივანიშვილი თუ „ოცნების“ დასამხობად ახალ გუნდს შექმნის, ხალხი ისევ დაუჯერებს მას. არ დაიჯეროთ, ხალხო, ბიძინა დამთავრებულია.

***– ვინ დაამთავრა?***

– პირველ რიგში, თავისმა ხალხმა. იშოვეს ფული. გაძღნენ სექსით და აღარ უნდათ ეგ შენი ბიძინა. რამდენადაც მე ვიცი, ახლა ის ხელშეუხებლობის გარანტიებს ითხოვს. მოდის ხმები, რომ ამ თემაზე ის მოლაპარაკებებს აწარმოებს.

***– ვისთან აწარმოებს მოლაპარაკებებს?***

– ევროპელ და ამერიკელ პოლიტიკოსებთან.

***– მათთან რატომ?***

– პოლიტიკა არის ევროპა და ამერიკა. ბიძინა მათგან ითხოვს უსაფრთხოების გარანტიებს. ითხოვს, რომ ქონება შეუნარჩუნონ. მიშას დაბრუნება გადაწყვეტილია, მას ხალხი ელოდება. ბიძინა კი თავის „ოცნებასაც“ აღარ უნდა. რამეს თუ მიქარავს და ხელისუფლებაში ძალით დარჩენას მოინდომებს, დასავლეთი ძალიან მალე დაამთავრებს მას.

ძალიან დიდ იმედებს ვამყარებ საპრეზიდენტო არჩევნებზე, ქვეყანაში ცვლილებები აქედან დაიწყება. პირადად მე გიორგი ვაშაძეზე დავდებდი ფსონს. პოლიტიკაში რაღაც გამეგება და ოპოზიცია კარგს იზამს, თუ მას დააყენებს საერთო კანდიდატად.

დღემდე დიდ შეცდომად მიმაჩნია ის ფაქტი, რომ ის ნაციონალებიდან წამოვიდა. იცით, ის ვის გამო წამოვიდა პარტიიდან? ბიძინას ხურდაფულზე გაყიდული ბოკერიას გუნდის გამო.

***– მოდით, თემა შევცვალოთ და თქვენზეც გვითხარით რამე. „ოცნების“ დეპუტატ მუხრან ვახტანგაძეს ადანაშაულებდით, რომ მან თქვენზე თავდასხმას გაუკეთა ორგანიზება. სამართალდამცავებსაც მიმართეთ, გამოიძიეს რამე?***

– რას გამოიძიებდნენ? თავიანთ კაცს ხომ არ დასჯიდნენ. ყველამ იცის ბათუმში, რომ მაგის დავალებით დამესხა თავს 12 ზონდერი გასვენებაში. ჭირისუფალს რომ არ აეტეხა წივილკივილი, ძალიან მძიმე დღეში ვიქნებოდი ახლა.

სამართალდამცავებს კი მივმართე, მაგრამ გამოძიების იმედი არ მაქვს. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ყველაფერზე აგებს პასუხს.

***– მუხრან ვახტანგაძე პარლამენტში ვის დაჯგუფებაშია?***

– კალაძის კამანდაა, ახალგაზრდებთან არის. იმ დღესაც მამუკა მდინარაძეს უმშვენებდა გვერდს.

# კონტრაბანდის ზრდის მიუხედავად, სიგარეტის გაყიდვები არ შემცირებულა

თამბაქოზე აქციზის გაზრდის შემდეგ ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ ბაზარზე კონტრაბანდული სიგარეტის წილი გაიზრდებოდა და, შესაბამისად, შემცირდებოდა აქციზიანი თამბაქოს ნაწარმის რეალიზაცია.

საგადასახადო კოდექსში ცვლილებიდან (2017 წლის იანვარი) ერთი წლის შემდეგ ირკვევა, რომ ქვეყანაში კონტრაბანდული სიგარეტის რაოდენობა მართლაც გაიზარდა, თუმცა მწარმოებელი კომპანიები ირწმუნებიან, რომ მათ ბიზნესზე უკანონო გზით შემოტანილ სიგარეტს გავლენა არ მოუხდენია.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, 2017 წელს წინა წელთან შედარებით უაქციზო თამბაქოს ნაწარმის შემოტანაზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა 4-ჯერ გაიზარდა. კერძოდ, თუ 2016 წელს თამბაქოს კონტრაბანდაზე სისხლის სამართლის 15 საქმე აღიძრა, 2017 წელს 64 საქმე აღძრეს.

რაც შეეხება საზღვარზე ამოღებული თამბაქოს რაოდენობას, 2016 წელს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა 26.557 კოლოფი უაქციზო სიგარეტი ამოიღო, 2017 წელს კი – 557.685 კოლოფი.

გაზრდილი კონტრაბანდის რაოდენობას საგანგაშოს უწოდებს „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ (აფბას) ვიცეპრეზიდენტი პაატა ბაირახტარი. როგორც მან „კომერსანტთან“ საუბრისას აღნიშნა, არაოფიციალური მონაცემებით ციფრები კოლოსალურია.

– ოფიციალურად სიგარეტის კონტრაბანდა გაზრდილია 48-ჯერ, თუმცა რეალურად ის ბევრად დიდია. ციფრები კოლოსალურია. მეორე მხრივ, ეს მონაცემები არის ძალიან ბუნებრივი, რადგან ჩვენ ვზრდით აქციზის გადასახადს მაშინ, როცა მეზობელ ქვეყნებში ეს გადასახადი არ იზრდება. რაც შეეხება გამოსავალს, ვფიქრობ, სამუშაოა ორი მიმართულებით უნდა განხორციელდეს: პირველი, გაიზარდოს ადამიანური რესურსები და გაძლიერდეს მაკონტროლებელი ორგანოები და მეორე – დადგინდეს ჯანსაღი, კონკურენტული ფასი მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, – აცხადებს ბაირახტარი.



ექსპერტებისგან განსხვავებით, სიგარეტის მწარმოებელი კომპანიები მიიჩნევენ, რომ კონტრაბანდული სიგარეტის რაოდენობა ქვეყანაში მინიმალურად არის გაზრდილი და ეს მათ ბიზნესზე გავლენას ვერ ახდენს.

– ჩვენი ინფორმაციით, მთლიანი ვაჭრობის მონაცემებში კონტრაბანდის წილი დაახლოებით 5 %-ია, რაც არ არის დიდი მაჩვენებელი და, შესაბამისად, ჩვენს გაყიდვებზე არ ასახულა, – განმარტავს „ბრითიშ ამერიკან ტობაკო“ – BAT-ს კორპორატიული და იურიდიული დირექტორი ზვიად სხვიტარიძე.

ბიზნესმენის მოსაზრებას იზიარებს თამბაქოს კონტროლის ალიანსის ხელმძღვანელი გიორგი ბახტურიძეც. მისი თქმით, გავრცელებული მოსაზრება, რომ გაზრდილი კონტრაბანდული რაოდენობა საგანგაშოა, სიცრუეა.

– ამოღებული კონტრაბანდული თამბაქოს რაოდენობა არის დაახლოებით მთელი მოხმარების ნახევარი დღის ნორმა, ანუ ძალიან მცირე. ასეთი ციფრები კი ვერც სიგარეტის მწარმოებელ კომპანიებზე იმოქმედებს მკვეთრად უარყოფითად და ვერც ეკონომიკაზე, რაზეც ხშირად აპელირებენ, – განმარტავს ბახტურიძე.

# „კალაძემ ახლა რომ დაიწყოს ჭიდაობა ივანიშვილთან, გაისრისება“

## თორნიკე შარაშენიძე: „საპრეზიდენტო არჩევნებამდე „ოცნება“ არ დაიშლება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში **თორნიკე შარაშენიძე** პასუხობს.

***— ბატონო თორნიკე, „ოცნების“ შიგნით სიტუაცია სულ უფრო და უფრო იძაბება. ბევრი იმასაც ფიქრობს, რომ „ოცნება“, როგორც მოქალაქეთა კავშირი, ისე გაქრება პოლიტიკური არენიდან. ასეა?***

— არჩევნებამდე არა მგონია, გაქრეს. იმიტომ, რომ მათ სჭირდებათ უმრავლესობა პარლამენტში და ამიტომაც შენარჩუნდებიან. ისინი გარედან სერიოზულ საფრთხეს ვერ ხედავენ, ამიტომაც საკუთარ თავს მისცეს იმის უფლება, რომ ერთმანეთს დაერიონ, თორემ საფრთხე რომ იყოს გარედან, მაშინ ამას არ იზამდნენ.

***— ძალიან მიუშვა პროცესები ივანიშვილმაო. თქვენც ასე ფიქრობთ?***

— როგორც ჩანს, მართლაც ძალიან მიუშვა კონტროლი ივანიშვილმა და რადგან მიუშვა, შიგნით გაჩნდა კონკურენტი ჯგუფები. გამოიკვეთა ერთი ჯგუფი, რომელიც კალაძესთან არის ახლოს, იქ კიდევ სხვა ჯგუფებიც არის. განსაკუთრებული არაფერი ხდება, ეს არის ჩვეულებრივი ბრძოლა ძალაუფლებისთვის. კომიკურია ეს პროცესები. ამ პატარა ქვეყანაში ამდენი რა არის გასაყოფი, რომ ველარ გაიყვეს.

***— „ოცნება“ ადეკვატურად ვერ აფასებს შექმნილ რეალობას?***

— საერთოდ, საპარლამენტო უმრავლესობა დიდი ინტელექტუალებით ვერ გამოირჩევა. საოცრებებს გაიგონებ ხოლმე „ოცნების“ რიგებიდან. მათი უმრავლესობა არის საქართველოს მოსახლეობის საშუალოზე დაბალი ინტელექტის. ეს სამწუხარო რეალობაა და ეს არის ძალიან ცუდი.

***— იყო მოლოდინი, რომ უმრავლესობის შეკრება გაიმართებოდა, სადაც ბიძინა ივანიშვილსაც ელოდნენ, თუმცა ეს შეკრება გაურკვეველი ვადით არის გადადებული. ივანიშვილი ყოჩად არ გვჭირდებაო, ზაზა პაპუაშვილმა თქვა. რაშია საქმე, რა დაემართა „ოცნებას“?***

— პაპუაშვილმა იყოყლოჩინა, იმდენად მაგრები ვართ, ყოჩები აღარ გვჭირდებაო. თუმცა მათ ჩემზე კარგად იციან, რომ რასაც ივანიშვილი იტყვის, ყველაფერი ზუსტად ისე მოხდება! ივანიშვილი, როგორც ჩანს, ჯერჯერობით არ ერევა და ამ ეტაპზე არ უნდა ჩაერიოს, რადგან პიკს მიაღწია დაძაბულობამ, ასე ღიად გამოჩენა არ სურს, უნდა, რომ შორიდან დაალაგოს და დაწმინდოს სიტუაცია.



***— გამარჯვებულის მხარეს დაიჭერს ივანიშვილი?***

— არა მგონია, მან ასე ღიად ვინმეს გაამარჯვებინოს. ივანიშვილის მხარდაჭერის გარეშე ვერც ერთი ფრთა ვერ გაიმარჯვებს. როგორც ჩანს, ივანიშვილს პენსიაზე გასვლა უნდა, აღარ სურს, ერეოდეს მსგავს საკითხებში, „ოცნებისგან“ აშკარად დაიღალა, თუმცა ისიც უნდა, რომ ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაზე მას ჰქონდეს ვეტოს უფლება. ამ პროცესს მნიშვნელოვნად არ მიიჩნევს და მსგავს კინკლაობაში არც ჩაერევა და შორიდან მიანიშნებს, რომ ერთმანეთში კომპრომისი გამონახონ. მით უმეტეს, პარლამენტში „ოცნებას“ უმრავლესობა სჭირდება და ასე ვერ დაჭამენ ერთმანეთს. ზღვარი ხომ აქვს ყველაფერს.

***— მით უმეტეს, წინ საპრეზიდენტო არჩევნებია.***

— რა თქმა უნდა. არჩევნების წინ „ოცნება“ არ დაიშლება. ივანიშვილის ჩარევა ძალიან მკაცრი სიგნალებით დასრულდება. „ოცნების“ ყველა წევრი რაღაცნაირად ბიძინა ივანიშვილზეა დამოკიდებული. ზოგი ფინანსურად და ზოგს სხვა ვალდებულებები აქვს და ეს თავადაც მშვენივრად იციან. ამ პარლამენტში სუფთა ძალიან ცოტაა. ყველასთვის შეიძლება რაღაცის პოვნა და, შესაბამისად, ყველა მასზეა დამოკიდებული.

***— შიდა დაპირისპირებები, დაყოფა ძველებად და ახლებად, ეს ყველაფერი 2020-ს უკავშირდება?***

— ნაკლებად. მე მგონი, უფრო უკავშირდება იმას, რომ ახლებს მეტი პრივილეგია აქვთ, მეტი გავლენა და ამით უფრო აიხსნება, ვიდრე მომდევნო არჩევნებზე დარდით.

***— არის იმის მოლოდინიც, რომ პარტიიდან დეპუტატების გარიცხვა მოხდეს. ამაზე რას იტყვით?***

— ეს რიგითებზე არაა დამოკიდებული. ამას პარტიის ხელმძღვანელობა წყვეტს. ამიტომ ასე მარტივი სათქმელი არ არის, რას გადაწყვეტს ის.

***— ანუ საბოლოო წერტილი ივანიშვილმა უნდა დასვას?***

— აბა, მის გარეშე ვინ გაბედავს პარტიიდან ამა თუ იმ წევრის გარიცხვას?! ბიძინა ივანიშვილმა რომ სწორედ იმ გარიცხულს დაუჭიროს მხარი, მერე სად მიდიან?! კომედიაა ეს ყველაფერი, ტრაგიკომედია. ასე იფაფხურებენ, იქნება დადგმები, ჩვენ ვნახავთ ბევრ კომედიას, მათ შორის მუშტიკრივს პარლამენტში და ეს კომედია გაგრძელდება მანამდე, სანამ არ აიძულებენ იმ კაცს, რომ ჩაერიოს.

***— „ოცნების“ წიაღში ოპოზიციური ძალის აღმოცენების პროცესი ხომ არ მიმდინარეობს?***

— არა, კარგით რა, რისი თავი აქვთ, სად წავლენ, ან რა ძალებით და რას დაეყრდნობიან?! ხომ ყველამ ვიცით, „ოცნება“ რაზეც დგას, მისი სიძლიერე რა არის? — ერთი კაცის რესურსები და მისი ავტორიტეტი. დამთავრდა, იმის იქით ვინ რას წარმოადგენს საერთოდ?! ერთადერთი, შესაძლოა, კალაძეს აქვს რაღაც შანსები, რომ დამოუკიდებელ ფიგურად ჩამოყალიბდეს, მაგრამ ეს პროცესიც ჯერ კიდევ ადრეა.

***— რატომ არის ადრე?***

— მან ახლა რომ დაიწყოს ჭიდაობა ივანიშვილთან, ეს ძალიან ადრეა, უბრალოდ, გაისრისება. დანარჩენებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. კალაძეს რაღაც მონაცემი აქვს, დანარჩენებს არანაირი მონაცემები არა აქვთ საერთოდ.

***— თავად ივანიშვილი ხომ არ მისცემს კალაძეს ოპოზიციაში წასვლის შესაძლებლობას? სულ იხსენებენ ივანიშვილის ნათქვამს, რომ როცა დრო მოვა, ოპოზიციასაც თავად შევქმნიო. მოვიდა ეს დრო?***

— მე ასე არა მგონია. წინ საპრეზიდენტო არჩევნებია. მანამდე არანაირი ძვრები არ იქნება.

***— მერე „ოცნება“ მოიგებს არჩევნებს? მან თავი ამოწურა, ძალიან გაცვდა.***

— გაცვდა, მაგრამ ჯერ კიდევ სანამ არსებობს „ოცნება“, ის ოსტატურად ქმნის ბუას სააკაშვილისგან და სააკაშვილიც პრინციპში კმაყოფილია ამით, იმიტომ, რომ მას თავისი ერთგული ამომრჩევლები ჰყავს და როცა მის დემონიზირებას ცდილობენ, ამით ხდება მობილიზება, როგორც „ოცნების“ ჯერ კიდევ არსებული მხარდამჭერების, ასევე სააკაშვილის მხარდამჭერების, ეს ხდება მაშინვე, როგორც კი სააკაშვილი ხმას ამოიღებს და ამით ორივე მხარე ბედნიერია. რაც უნდა ლანძღონ ერთმანეთი, გამომდინარე არსებული სიტუაციიდან, ეს სტატუსკვო ორივეს აწყობს.

***— ანუ 2020-მდე ასეთი სიტუაცია შენარჩუნდება?***

— ვნახოთ, რა მოხდება საპრეზიდენტო არჩევნებში. რა თქმა უნდა, მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ვიღაცა კონკურენტი დაამარცხებს „ოცნებას“, მაგრამ რაღაც შეიძლება მოხდეს, რაც ამ ეტაპზე ასე მარტივად არ ჩანს. ეს არჩევნები ძალიან ბევრ რამეს გამოაჩენს.



# პოლიეთილენის პარკების გამოყენების აკრძალვის შესახებ ინიციატივა მთავრობაში დასამტკიცებლად უახლოეს მომავალში შევა

— პოლიეთილენის პარკების გამოყენების აკრძალვის შესახებ ინიციატივა მთავრობაში დასამტკიცებლად სულ მალე შევა.

ამის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილე ნოდარ კერესელიძემ განაცხადა.

— საქართველოში პლასტიკის პარკების გამოყენების შემცირება იგეგმება. სამინისტრომ შეიმუშავა ახალი ინიციატივა პლასტიკის პარკების გამოყენების შემცირების მიმართულებით და ასევე, გარემოს დაბინძურების პრევენციის კუთხით — სულ მალე ეს ინიციატივა მთავრობაში შევა დასამტკიცებლად, — განაცხადა კერესელიძემ.

გარემოსთვის ზიანის მიყენების შემცირების მიზნით, საქართველოში პოლიეთილენის პარკების გამოყენების აკრძალვის შესახებ გარემოს დაცვის სამინისტროს ნარჩენების მართვის სამსახურმა შესაბამისი პროექტის შემუშავება დაიწყო, რომელიც დასამტკიცებლად მთავრობას უნდა გადაეგზავნოდა. პროექტის მიხედვით, 15 მიკრონზე ნაკლები სისქის პლასტიკის პარკები აიკრძალება. ეს ყველაზე თხელი პლასტიკის პარკია, რომელიც ერთჯერადია და მისი მეორედ გამოყენება არ ხდება.

როგორც მაშინ იყო მოლოდინი, პარკების აკრძალვა 2018 წლის პირველი იანვრიდან უნდა მომხდარიყო, თუმცა პროექტი მთავრობას ჯერაც არ ჩაჰბარებია.

როგორც „ბიზნესპრესნიუსს“ ერთი თვის წინ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტის უფროსმა ალვერდ ჩანქსელიანმა განუცხადა, მთავრობის დასტურის შემთხვევაში, ქვეყანაში პოლიეთილენის პარკების გამოყენება 2018 წლის ბოლომდე აიკრძალება.

2010 წლის მონაცემებით, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ერთი მოქალაქე საშუალოდ დაახლოებით 198 პოლიეთილენის პარკს მოიხმარს. ევროკავშირის ქვეყნებში შესაბამისი დირექტივა და განსაზღვრული სტანდარტი მოქმედებს, როგორი პარკების მოხმარება იკრძალება. შესაბამისად, ევროპის ქვეყნებში არის მოლოდინი, რომ 2015 წლისთვის ერთი მოქალაქე საშუალოდ მხოლოდ 40-ს პარკს უნდა მოიხმარდეს. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენთან მსგავსი რეგულაცია არ მოქმედებს და საქართველოს ერთი მოქალაქე დაახლოებით 525 პოლიეთილენის პარკს მოიხმარს.



# განბაჟებაზე დაწესებული ზღვარი გადამზიდავი კომპანიებისთვის კვლავ პრობლემად რჩება

საქართველოში მოქმედ გადამზიდავი კომპანიების ნაწილს გაყიდვები 20-80% გაეზარდათ. როგორც კომპანიების წარმომადგენლები „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებენ, ლარის კურსის გაუფასურებისა და ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, ონლაინგამოწერების რაოდენობის ზრდა მაინც მოხერხდა, ეს კი მათივე აქტივობების ხარჯზე მოხდა.



„კომერსანტმა“ გაარკვია ისიც, რომ ბიზნესისთვის კვლავ დიდ გამოწვევად და უმნიშვნელოვანეს პრობლემად განბაჟების 300-ლარიანი ზღვარი რჩება. კომპანიების განცხადებით, ამ მიმართულებით სახელმწიფო კვლავ დუმილს ამჯობინებს, ხოლო ბიზნესი მომხმარებელს კარგავს.

INEX GROUP-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი მარიამ ახვლედიანი „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ მათთან 2018 წლის აპრილში 2017 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გამოწერებმა 35%-ით იმატა.

— გამოწერების ზრდა მოხდა, თუმცა ეს ჩვენმა კომპანიამ საკუთარი რესურსით შეძლო, რადგან ქვეყანაში ეკონომიკურად არამდგრადი პროცესების განვითარება გრძელდება.

რაც შეეხება მეორე პრობლემას, ეს განბაჟებასთან დაკავშირებული ზღვარია, რომელიც ხშირად მომხმარებლის დაკარგვასაც იწვევს. კლიენტები 300 ლარზე მეტი ღირებულების ნივთების გამოწერას ერიდებიან, — აღნიშნა ახვლედიანმა.

კომპანია A-MANAT-ის მენეჯერი ეკა ალიბეგაშვილი აცხადებს, რომ მათთან გამოწერები შარშანდელი წლის მარტის თვესთან შედარებით მიმდინარე წლის ანალოგიურ პერიოდში დაახლოებით 20%-ით გაიზარდა.

ალიბეგაშვილის თქმით, განბაჟებაზე დაწესებული ზღვარი კომპანიისთვის კვლავ პრობლემას წარმოადგენს, რადგან მომხმარებელს ხშირად ზედმეტი ტვირთის არსებობის შემთხვევაში მათ მომსახურებაზე უარის თქმა უწევს.

— ზრდა დაფიქსირდა, თუმცა ვთვლი, რომ ეს ჩვენი კომპანიის აქტივობის დამსახურებაა, რადგან ჩვენი ბიზნესისთვის ქვეყანაში კვლავ ბევრი პრობლემაა. მაგალითად, განბაჟების ზღვარზე დღემდე ვართ დამოკიდებული, რადგან 300 ლარი ძალიან ცოტაა.

მომხმარებლებს ამაზე პრეტენზია აქვთ და გამოწერასთან დაკავშირებით თავს ბევრი იკავებს. ამით ჩვენ თავისთავად კლიენტთა რიცხვი გვაკლდება. ამ მიმართულებით შარშანდელი ოპოზიციური პარტიის მიერ გაკეთებული განცხადებების შემდგომ სიახლე არ ყოფილა, — განაცხადა ალიბეგაშვილმა.

PostaLON-ის დირექტორი გიორგი აფციაური ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ 2017 წლის მარტთან შედარებით მიმდინარე წლის ანალოგიურ პერიოდში კომპანიას გამოწერების 80%-იანი ზრდა აქვს.

— კომპანიის წარმატებას ბაზარზე ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს ვუკავშირებ. რაც შეეხება განბაჟებასთან წარსულში არსებულ პრობლემას ის კვლავ რჩება. რაც უფრო მეტი იქნება აღნიშნული ზღვარი, კომპანიასა და ქვეყანას წაადგება, — განმარტა აფციაურმა.

ამ ეტაპზე ინტერნეტით გამოწერილი ნივთების განბაჟების ზღვარი 300 ლარია. 2017 წელს საპარლამენტო ოპოზიცია ინტერნეტით გამოწერილი ნივთების განბაჟების ზღვრის შეცვლას, 300 ლარიდან 500 ლარამდე ითხოვდა, თუმცა ეს განცხადება ინიციატივის დონეზე დარჩა.

# ვახტანგ მაისაია: „ამერიკამ სირიაზე დარტყმით რუსეთს ძალა აჩვენა“

## „სამხედრო თვალსაზრისით ეს შეტევა უშედეგო გამოდგა“

გულიკო ბალაძე

სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტ **ვახტანგ მაისაიას** განცხადებით, გრძელვადიანი თვალსაზრისით, ქიმიური იარაღის გამოყენების საპასუხოდ, სირიაზე სარაკეტო დარტყმას ეფექტი არ ჰქონია. რაც შეეხება ამ ფაქტზე საქართველოს გამოხმაურებას, ეს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, ან პარლამენტის თავმჯდომარის დონეზე უნდა მომხდარიყო.

***– ბატონო ვახტანგ, გარკვეული დრო გავიდა მას შემდეგ, რაც სამმა სახელმწიფომ ერთობლივი შეტევა განახორციელა სირიის ქიმიური იარაღის მწარმოებელ ობიექტებზე. შეგვიძლია შედეგზე ვისაუბროთ?***

– მოკლევადიანი თვალსაზრისით, ამ დარტყმას ეფექტი ჰქონდა. ამერიკამ რუსეთს ანახა თავისი პოტენციალი.

***– რა პოტენციალი?***

– ამერიკამ აჩვენა, რომ, რუსეთისგან განსხვავებით, თავის სიტყვას ასრულებს. რუსეთი აცხადებდა, რომ თუ მოხდებოდა დარტყმა, არა მარტო ჩამოაგდებდნენ მოწინააღმდეგის რაკეტებს, არამედ იმ ქვეყანას დაუმიზნებდნენ, საიდანაც რაკეტები წამოვიდოდნენ.

***– ჩამოაგდეს, მაგრამ, მგონი, ძალიან მცირე რაოდენობით.***

– მცირე რაოდენობით ჩამოაგდეს, მაგრამ სირიის თავდაცვის სისტემებმა. ამ პროცესში რუსები საერთოდ არ მონაწილეობდნენ. მოკლევადიან ვარიანტში რუსეთს ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენეს. გრძელვადიანი ვარიანტში ამ დარტყმას ეფექტი არ მოჰყოლია და არაფრის მოტანა არ შეუძლია. ძალიან საინტერესოდ დასვა კითხვა დიდი ბრიტანეთის ოპოზიციური ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელმა, თუ ბაშარ ასადმა განახორციელა ქიმიური შეტევა და გინდათ დასაჯოთ, მაშინ რატომ არ სჯით მას ჰააგის საერთაშორისო სასამართლოშიო. ტრამპმა პირდაპირ თქვა, რომ ეს დარტყმა არ იყო გათვლილი ბაშარ ასადის თანამდებობიდან გადასაყენებლად.

***– ჰააგის სასამართლოში პროცესი რომ წარიმართოს და ასადი დაისაჯოს, ჯერ ხომ გამოძიება და მტკიცებულებებია საჭირო.***

– ბუნებრივია, მაგრამ მის წინააღმდეგ დარტყმის განხორციელება ნიშნავს მის დადანაშაულებას ქიმიური იარალის გამოყენებაში. როცა ურტყამ ასადის შეიარაღებულ ფორმირებებს და დედაქალაქ დამასკოს, რომელსაც ასადის რეჟიმი აკონტროლებს, ეს ნიშნავს, რომ ქიმიური იარაღის გამოყენების მთავარი ორგანიზატორი ოფიციალური სირიის ხელმძღვანელობა და ბაშარ ასადია.

***– ანუ სირიაზე დარტყმა განხორციელდა არა ასადის გადასაყენებლად, არამედ ვიღაცისთვის ჭკუის სასწავლებლად, ვთქვათ, რუსეთისთვის ან ირანისთვის, რომელიც მას უჭერს მხარს?***

– ალბათ, ეს ასე იყო. ტრამპმაც დაწერა, რომ მისია შესრულებულია, რაც იმას ნიშნავს, ამ დარტყმამ არავითარი ზიანი არ მიაყენა ასადის რეჟიმს. საკითხავია, რამდენად განადგურდა ქიმიური ლაბორატორიები (ქიმიური იარაღი რომ იყო, საეჭვო არ არის). ამიტომ სირიაში ქიმიური იარაღისაგან თავდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები ჩადიან, რომლებსაც გაერომ მიანიჭა უფლება ადგილზე გამოიძიონ და დაადგინონ, როგორ და რა ვითარებაში გამოიყენეს ქიმიური იარაღი. ფაქტობრივად, ასეთი ნაჩქარევი ქმედება, ძირითადად ამერიკის მხრიდან, სხვა ინტერპრეტაციას არ ტოვებს.

***– ამბობთ, ეს დარტყმა შედეგის მომტანი არ იყოო, ამერიკას, ინგლისს და საფრანგეთს რომ მოენდომებინათ, სირიას და ასადის რეჟიმს ზიანს ვერ მიაყენებდნენ?***

– მე ანალიზს ვაკეთებ სამხედრო სტრატეგიული, სამხედრო გეოსტრატეგიული კუთხით. ამ დარტყმის შედეგი იყო 110 მილიონი დოლარი გადაყრილი წყალში. გეოსტრატეგიული კუთხით თუ შევაფასებთ, ამ დარტყმის შედეგად ასადის რეჟიმის სამხედრო სტრუქტურებს არავითარი ზიანი არ მიუღიათ, პირიქით, ასადის რეჟიმმა მეორე დღეს, ამ დარტყმებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, აღმოსავლეთ გუტას რაიონი მთლიანად გაწმინდა მოწინააღმდეგისაგან და თავისი პოზიციები გააძლიერა.

იმ ობიექტების ფუნქციონირებაც, რომელთაც დარტყმა მიაყენეს, ნომინალური იყო, რადგან ქიმიური იარაღი, დიდი ალბათობით, განთავსებულია რუსეთის ან ირანელების კონტროლირებად სამხედრო ბაზებზე. ეს დარტყმა მიმართული არ იყო ირანელების წინააღმდეგ, მით უმეტეს, არც რუსების წინააღმდეგ. როდესაც ასეთ სერიოზულ სამხედრო ოპერაციას ახორციელებ (ახდენ სარაკეტო დარტყმებს ჰაერიდან და ზღვიდან), ამას სჭირდება სულ მცირე ორკვირიანი მომზადება, სერიოზული დაჯგუფების მობილიზაცია. ორი ნალმოსნიდან და რამდენიმე სტრატეგიული ბომბდამშენიდან მოხდა დარტყმა. მივიდა დანიშნულების ადგილამდე თუ არა, შედეგები ჩანს.



ასადი მეორე დღეს გამოვიდა და შეხვდა ოფიციალურ პირებს. ასადის რეჟიმის სამხედრო შენაერთებმა ჩაატარეს წარმატებული ოპერაცია, გაწმინდეს გუტის რაიონი და ახლა აწარმოებენ შეტევით ოპერაციას ისლამური სახალიფოს წინააღმდეგ. ამერიკელებმა დაარტყეს შაითანის ბაზას და შაითანის ბაზის ფუნქციონირება 3 საათის შემდეგ აღადგინეს. სამხედრო კუთხით მორალურ-ფსიქოლოგიური ზიანის გარდა, სამხედრო გეოპოლიტიკური კუთხით არავითარი შედეგი არ მიუღია, 110 მილიონი დოლარი გადაიყარა წყალში.

***– ალბათ, ეღირდათ იმ 110 მილიონის წყალში გადაყრა.***

– იმ კონტექსტში ეღირდათ, რომ ეს იყო გეოფსიქოლოგიური და გეოპოლიტიკური დარტყმის მიყენება პუტინის რეჟიმის მიმართ.

***– მით უმეტეს, რომ პუტინმა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევა მოითხოვა, მაგრამ უარი უთხრეს, ანუ რუსეთი ერთგვარად დაჩაგრეს.***

– დიახ, ჩავთვალოთ, რომ დაჩაგრეს მოკლევადიან ვარიანტში. ეს შედეგები იყო მოკლევადიანი. ფაქტობრივად, ამ დარტყმამ ვერ შეცვალა გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური სი-



ტუაცია. სიტუაცია დარჩა იგივე. ახლო აღმოსავლეთში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა. ამერიკელებს აქვთ მძიმე მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში. ამერიკელები, ფაქტობრივად, ვეღარ აკონტროლებენ, აღარ გააჩნიათ დასაყრდენი ძალა სირიაში, გარდა იმ მცირე მონაკვეთისა, სადაც 2.000 ამერიკელია განთავსებული. სირიის ტერიტორიას დღეს მთლიანად აკონტროლებს სამი რეგიონული ჰეგემონი – რუსეთი, თურქეთი და ირანი. რუსული გავლენა გაიზარდა. პროამერიკული კოალიცია სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭო და მასში შემავალი სახელმწიფოები გახლეჩილი არიან და ერთმანეთს უპირისპირდებიან. საუბარია საუდის არაბეთსა და ყატარზე. თურქეთიც ანტიამერიკული გეოპოლიტიკური თამაშის წესებზე გადავიდა.

***– თუმცა, თურქეთის პრემიერ-მინისტრი სირიის წინააღმდეგ ჩატარებულ ოპერაციას მიესალმა. სირიაზე განხორციელებული სარაკეტო დარტყმა საკმარისი არ არის, ასადის წინააღმდეგ ამერიკას უფრო მეტი უნდა გაეკეთებინაო.***

– თურქეთი მიესალმებოდა იმ მიზეზის გამო, რომ პროთურქული ადგილობრივი ზომიერი და სხვა ტიპის ოპოზიციური დაჯგუფებები, როგორებიცაა სირიის ნაციონალური არმია, სირიის თავისუფალი არმია და კიდევ სხვა დაჯგუფებები, თურქეთის მხარეს იბრძვიან. ისინი პირდაპირ ასადის რეჟიმს ებრძვიან.

ფაქტობრივად, ასადის რეჟიმი ერდოღანის პირდაპირი მტერია, მაგრამ ერდოღანს ეს ხელს არ უშლის იმაში, რომ მას ჰქონდეს თანამშრომლობითი ურთიერთობა ირანთან და რუსეთთან. ერდოღანმა ფორმალურად თამაშის წესები არ დაარღვია და თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეზე განხორციელებული დარტყმები მიიღო ისე, როგორც უნდა მიეღო.

სამაგიეროდ, ერდოღანმა მიმართა სატელეფონო დიპლომატიას პუტინსა და ტრამპს შორის. სირიაზე სარაკეტო დარტყმის მეორე დღესვე დაურეკა პუტინს და ესაუბრა, ჩვენ არ ვიცით, მათ რა ისაუბრეს, რა მედიატორული როლი დაეკისრა თურქეთს. თურქეთმა თამაში ორმხრივად წარმართა. არც ამერიკას აწყენინა და არც მის ახალ მოკავშირეებს, რუსეთსა და ირანს.

***– ამ პროცესში საქართველო სად არის? ამერიკის ქმედებებს საგარეო საქმეთა მინისტრი მიესალმა. ამ სიტუაციაში ჩვენი მხარდაჭერა რას ნიშნავს?***

– ფორმალურად მხარი უნდა დავუჭიროთ. ფორმალურად ჩვენ ადრეც ვიყავით პროამერიკული კოალიციის წევრები, რომლებიც მოქმედებდნენ სირიაში. ამერიკა არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი. ჩვენ პროდასავლური, პროამერიკული საგარეო პოლიტიკური კურსი გვაქვს აღებული. უცნაური იქნებოდა, ამერიკის მხარდამჭერი განცხადება რომ არ გაგვეკეთებინა. თუმცა, ჩვენი ხმა არის ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, მაგრამ ჩვენებმა ვალი მოიხადეს.

ერთია განცხადება და მეორეა ამ განცხადების უკან რა შინაარსი და ძალაა. საინტერესოა, რომ ამერიკის მხარდამჭერი განცხადება არ გაუკეთებია პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტს. განცხადება გააკეთა ისეთმა პიროვნებამ, რომლის სიტყვას თვითონ მთავრობაშიც არავინ აქცევს ყურადღებას და მისი წონა პოლიტიკურ სცენაზე საკმაოდ მსუბუქია.

თუ ქვეყანას უნდოდა წარმოეჩინა თავისი რეალური პოზიცია, ცოტა მძიმეწონოსან პოლიტიკოსს უნდა გაეკეთებინა განცხადება და არა – საგარეო საქმეთა მინისტრს. ამგვარი განცხადების გაკეთება საგარეო საქმეთა მინისტრის პრეროგატივაა, მაგრამ დღევანდელ საგარეო საქმეთა მინისტრს ქართულ პოლიტიკაზე, საერთაშორისო დონეზე, იმ სიტუაციაში, როცა საქართველო, საერთოდ, ამოვარდნილია საერთაშორისო პიარპროცესებიდან, მხარდამჭერი განცხადების გაკეთება პრემიერ-მინისტრს ან პრეზიდენტს უფრო მართებდა, განცხადება, სულ მცირე, პარლამენტის თავმჯდომარეს რომ გაეკეთებინა, უფრო უპრიანი იქნებოდა.

***– საგარეო საქმეთა მინისტრი ჯანელიძე ვიცე-პრემიერიცაა.***

– გინდა ვიცე-პრემიერი იყოს, გინდა გაეროს გენერალური მდივანი, პოლიტიკური პროცესებზე, საერთოდ, არავითარი გავლენა არ აქვს.

***– ამ ორომტრიალში და დიდი სახელმწიფოების კუნთების თამაშში ისლამური სახელმწიფოს წარმომადგენლები სად არიან? გვეგონა, ისლამური სახელმწიფოს საცეცები არ შეგვეხებოდა, მაგრამ ჩვენთანაც ხომ გამოჩნდნენ ძალიან ცუდად.***

– თქვენ ზუსტად შეაფასეთ, რაც ხდება. ისლამურ სახელმწიფოს თავისი პრობლემები გააჩნია. როდესაც ხდება გიგანტების დაპირისპირება, ისინი სხვაგან არიან გააქტიურებული. სირიაში, დამასკოსთან ახლოს საკმაოდ დიდ ტერიტორიას აკონტროლებენ. ასადის რეჟიმი აკეთებს ბოლო ძალების მობილიზაციას, რომ დაარტყას და ხალიფატის მებრძოლებისგან ტერიტორია გაწმინდოს, გაწმინდოს დამასკოსთან ახლოს საკმაოდ სერიოზული რაიონი, იარმუკის ბანაკი.

ისლამური სახელმწიფო გააქტიურდა ავღანეთში, სინაიზე და სხვა გეოგრაფიულ მნიშვნელოვან არეალებში. ისინი, სამწუხაროდ, თავის საქმეს აკეთებენ.

***– შეიძლება ჯერ ასადი სჭირდებათ ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ საბრძოლველად და ასადის რეჟიმის განდევნის საქმე ბოლომდე ამიტომ არ მიჰყავთ.***

– შეიძლება ასეც არის, შეიძლება სხვა გარემოებაა. როდესაც ამ პროცესში ერთმანეთს უპირისპირდება ამერიკა, რუსეთი და სხვა კოალიციები, ეს ბუნებრივად წყალს ასხამს ისლამური სახელმწიფოს წისქვილზე. დღეს ახალი ცივი ომის პიკია. სირიაზე დარტყმით ამერიკელებმა თავისი პრესტიჟი შეინარჩუნეს. ამერიკელების მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში არის ძალიან მყიფე, ხისტი. ახლო აღმოსავლეთში ამერიკის ინტერესები ასეთი ხისტი არასოდეს ყოფილა. ამერიკის მოკავშირეები ახლო აღმოსავლეთში არიან იორდანია და ისრაელი. ამ მიმართულებით შესუსტებული საუდის არაბეთი ამერიკის საიმედო მოკავშირე ვერ იქნება. ამერიკას ბაზები გააჩნია ყატარსა და სხვა ადგილებში, მაგრამ მისი გეოპოლიტიკური გავლენა ამ რეგიონში შესუსტდა.

# „ღამის ეკონომიკა გულისხმობს იმას, რომ საღამოს 8 საათიდან ქალაქში განსხვავებული ღონისძიებები იწყება“

– ღამის ეკონომიკა გულისხმობს იმას, რომ საღამოს 8 საათიდან ქალაქში განსხვავებული ღონისძიებები იწყება.



ამის შესახებ ღამის ეკონომიკის განვითარების კონცეფციის პროექტის ხელმძღვანელმა სერგი გვარჯალაძემ განაცხადა.

როგორც გვარჯალაძე აღნიშნავს, ღამის ეკონომიკა დღის განმავლობაში ეკონომიკურ აქტივობებს მოწყვეტილი არ იქნება. როგორც სერგი გვარჯალაძე აცხადებს, ხმაურის და უსაფრთხოების რეგულირების საკითხი კვლავ გამოწვევად რჩება.

– ნებისმიერი ეკონომიკური აქტივობა, რომელიც ამ პერიოდიდან დილამდე გრძელდება ღამის ეკონომიკაა. ღამის ეკონომიკა დღის განმავლობაში ეკონომიკურ აქტივობებს მოწყვეტილი არ იქნება.

ღამის ეკონომიკაში ჩაერთვება – ტრანსპორტი, ინფრასტრუქტურა, ხმაურის რეგულირება, საკმაოდ დიდი გამოწვევა იქნება ჩვენთვის, უსაფრთხოების რეგულირება.

კულტურული აქტივობები, უბნების რეგენერაცია რის შესახებაც მოგვიანებით გახდება ცნობილი, კომუნიკაცია, ჩვენ ყველა დიდი ქალაქის კონცეფცია შევისწავლეთ და სხვადასხვა საერთაშორისო წარმომადგენლებთან კომუნიკაციები გვქონდა, – განაცხადა გვარჯალაძემ.

მისივე თქმით, ღამის ეკონომიკაში ტურიზმის ჩართულობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ასევე დიდი წვლილის შეტანა აღნიშნულში სხვადასხვა ელექტრონული მუსიკის ფესტივალებს შეუძლია.

– საქართველოში ტურიზმის ბუმია ეს ყველამ კარგად ვიცით. ქართულმა ელექტრონულმა მუსიკამ გარკვეული ადგილი დაიკავა უცხოურ ბაზარზე და ის დიდი პოპულარობით სარგებლობს ამის გარეშე ღამის ეკონომიკა წარმოუდგენელია, – განმარტა პროექტის ხელმძღვანელმა.

შეგახსენებთ, რომ სერგი გვარჯალაძემ ღამის ეკონომიკის პრეზენტაცია გამართა. როგორც მან აღნიშნა ზემოთხსენებული ნაბიჯები 6 თვის განმავლობაში უნდა გადაიდგას. ამ ეტაპზე კი ინტენსიური მუშაობა ბიზნესთან მიმდინარეობს.

**„კომერსანტი“**

# ელიავას ბაზრობის რომელი პროექტის დამტკიცებას ითხოვენ მერიისგან



შპს „სანაპირო საინვესტიციო ჯგუფი“ (ელიავა – რეგიონული მოლი) თბილისის მერ კახა კალაძეს ღია წერილით მიმართავს და თბილისის საკრებულოსთვის 2016 წელს გადაგზავნილი ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას ითხოვს.

„ინტერპრესნიუსი“ ელიავა-რეგიონული მოლის ღია წერილს უცვლელად გთავაზობთ:

– მიზანშეწონილად ვთვლით, მოგმართოთ „ელიავას ბაზრობის“ ირგვლივ განვითარებულ პროცესებთან დაკავშირებით.

ბოლო ათწლეულებში ბუნებრივად ჩამოყალიბდა ურბანული გარემო, რომელსაც თბილისელები „ელიავას ბაზრობას“ უწოდებენ. საზოგადოდ ე.წ. „ელიავას ბაზრობა“ განთავსებულია 15,5 ჰა. მიწის ნაკვეთიდან 11,3 ჰა. ფართზე. დარჩენილი ფართი მოიცავს გზებსა და გამწვანებულ არეალებს. წლების განმავლობაში სხვადასხვა მესაკუთრის მიერ, რომელთა

საერთო რაოდენობა 144 ფიზიკურ პირს შეადგენს, აღნიშნულ ტერიტორიაზე აშენებული იქნა დაახლოებით 43 000კვ.მ. (4,3ჰა.) შენობა-ნაგებობა.

მოგახსენებთ, ქ. თბილისის მერიის წინა ხელისუფლებასთან 2014 წლიდან თვეების განმავლობაში მიმდინარეობდა კონსულტაციები ჩვენს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ურბანული განვითარების შესახებ. აღნიშნულის საფუძველზე კიდევ ერთხელ დადგინდა ფუნქციონალური ზონირებასთან დაკავშირებული პარამეტრები და მიღწეული იქნა შეთანხმება, რომელმაც აღნიშნულ თემებთან მიმართებაში, 2016 წელს, ქ. თბილისის მერიის საპროექტო დავალების ფორმა შეიძინა.

ჩვენ ჯერ კიდევ 2012 წლიდან, გადავდგით კონკრეტული ნაბიჯები, რათა ჩამოყალიბებული ურბანული სავაჭრო გარემოსათვის მიგვეცა თანამედროვე სახე. დღეისათვის საკუთარი ძალებით თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, ჩვენ მიერ

აშენებულია დაახლოებით 17.000 კვ. მეტრი თანამედროვე სავაჭრო დანიშნულების არეალები.

არქიტექტურის სამსახურისა და საკრებულოს მიერ დამტკიცებული საპროექტო დავალების საფუძველზე შევიმუშავეთ ჩვენს საკუთრებაში არსებული 7,5 ჰექტარი ტერიტორიის სივრცითი განვითარების კონცეფცია – „ელიავა – რეგიონული მოლი“ და შესაბამისი განვითარების რეგულირების გეგმა, რომელიც უკვე განხილული და დამტკიცებული აქვს ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს და 2016 წლის ზაფხულში დასამტკიცებლად წარედგინა ქ. თბილისის საკრებულოს.

პროექტი ითვალისწინებს თანამედროვე სავაჭრო-გასართობი და დასასვენებელი ურბანული გარემოს მოწყობას, მათ შორის ათასობით კვადრატული მეტრი გამწვანებული ფართის ფორმირებით და მოწესრიგებით. შექმნილი მასტერპლანის მიხედვით, აშენდება სავაჭრო, გასართობი და დასასვენებელი სივრცეები, მოეწყობა მიწისქვეშა პარკინგი. ასევე დაგეგმილია უნიკალური ვერტიკალური მწვანე მოლის შექმნა.

ქალაქის მერიის მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებისა და სათანადო შესწორებების შეტანის შემდეგ, არქიტექტურის სამსახურმა მიიღო და დაამტკიცა წარდგენილი გრგ და თბილისის საკრებულოში გადაგზავნა.

ჩვენდა სამწუხაროდ, საკრებულომ დღემდე არც კი განიხილა აღნიშნული დოკუმენტი, რის გამოც პროცესი ორ წელიწადზე მეტია შეჩერებულია.

დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე (მგგ) მომუშავე ჯგუფის – „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ – მიერ წარმოდგენილ მასალებში, იმ ტერიტორიას (ისევე როგორც, მთლიანად „ელიავას ბაზრობას“), რომელზეც მოიაზრება „ელიავას რეგიონული მოლის“ პროექტის განხორციელება, ნაცვლად დღეს მოქმედი საზოგადოებრივ-საქმიანი ზონისა, ჩვენი აზრით, თვითნებურად, მინიჭებული აქვს რეკრეაციული ზონის სტატუსი.

ვფიქრობთ, რომ ფუნქციონალური ზონის მსგავსი ცვლილების განხორციელება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს, როგორც კონსტიტუციით გარანტირებული კერძო საკუთრების უფლებას და შესაბამისად, ადამიანის უფლებების ძირეულ პრინციპებს, ისე მრავალმილიონიანი საინვესტიციო პროექტის განხორციელებას და ათასობით დასაქმებული ადამიანის სოციალურ ბედს. რასაკვირველია, ქ. თბილისის განვითარება უნდა ხდებოდეს ობიექტური მდგომარეობის, მათ შორის ევროქარტიების, რომელთა რატიფიკაციაც ჩვენი ქალაქის საკრებულოს განხორციელებული აქვს, ძირითადი ფუნდამენტალური პრინციპების დაცვით.

ნებისმიერი სამართლებრივი დოკუმენტი უნდა უფრთხილდებოდეს რეგიონალური მნიშვნელობის ეკონომიკურ და სოციალურ ზონებს (ქალაქწარმომქმნელ უმნიშვნელოვანეს ზონებს) და ეჭვგარეშეა, უნდა ითვალისწინებდეს, რომ სამუშაო ადგილების შექმნა ჩვენი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და არა გაუარესება, უპირველესი საჯარო ინტერესია.

სწორედ ამაზე დაყრდნობით საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპის დაცვა, შინაარსობრივად უნდა აბალანსებდეს ყველა პარამეტრს. თუმცა, გენგეგმის ავტორები არ უარყოფენ აღნიშნული ტერიტორიის ეკონომიკურ-სოციალურ მნიშვნელობას და თავიანთ ბოლო წინადადებაში ისინი ზონალობის სტატუსის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პრეროგატივას ქალაქის მერიას უტოვებენ.

აქ დასაქმებულ ადამიანთა რიცხვი 15 ათასამდე აღწევს, ხოლო მათი ბიზნესსაქმიანობიდან ბიუჯეტში ყოველწლიურად არაერთი ათეული მილიონი ლარი შედის.

დედაქალაქის მერიასა და საკრებულოში მიმდინარე დადებითი პროცესები გვაძლევს იმედს, რომ, ჩვენი პროექტი, უახლოეს მომავალში დამტკიცდება და მოგვეცემა შესაძლებლობა „ელიავას ბაზრობაზე“ არსებული არც თუ სახარბიელო მდგომარეობა, ჩვენივე ფინანსური სახსრებით გავაუმჯობესოთ ისე, რომ არ დაზარალდეს არც აქ დასაქმებული ადამიანების, არც ბიზნესის და არც დედაქალაქის ინტერესები.

იმედს ვიტოვებთ, ქალაქის საკრებულო განიხილავს და დაამტკიცებს ჩვენს მიერ წარმოდგენილ გრგ-ს. ამასთან ჩვენ მზად ვართ, ქალაქის მერიასთან თანამშრომლობით გამოვაცხადოთ ერთობლივი საერთაშორისო კონკურსი „ელიავას რეგიონული მოლის“ ეტაპობრივი განვითარებისათვის საჭირო მაქსიმალურად სრულყოფილი ესკიზური პროექტის შექმნის მიზნით.

დარწმუნებულები ვართ, რომ თქვენი პირადი ჩართულობის, ქალაქის მმართველობის და ბიზნესის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, თბილისი მიიღებს თანამედროვე სავაჭრო-გასართობ და დასასვენებელ ურბანულ არეალს, რომელიც დედაქალაქის ეკოლოგიური და მწვანე სავიზიტო ბარათი გახდება.

ჩვენ მზად ვართ, მივიღოთ მონაწილეობა დედაქალაქის წინაშე მდგარი საჭირბოროტო საკითხების გადაჭრაში და გვინდა ავაღორძინოთ არა ჩვენი მოქმედების გამო შეჩერებული განვითარების პროცესი. ჩვენი მიზანია, წარმატებული საერთაშორისო გამოცდილების მსგავსად, შევქმნათ თვითმართველობისა და კერძო სტრუქტურების ნაყოფიერი თანამშრომლობის კარგი მაგალითი ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში, – აღნიშნულია ღია წერილში.

# პირველი ელექტროავტობუსი თბილისში მომავალი კვირიდან გამოჩნდება




როგორც კომპანია „ფრეგობასის“ დირექტორმა მურმან პატარაიამ „კომერსანტს“ განუცხადა, ახალი ელექტროავტობუსი დედაქალაქს, სავარაუდოდ, იმ კვირიდან მოემსახურება. მისივე თქმით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს სატესტო რეჟიმი, რომლის საშუალებითაც მგზავრები თავად შეძლებენ ეკოლოგიურად 100 %-ით სუფთა ტრანსპორტის შეფასებას.

– ამ ეტაპზე სატესტოდ ჩამოვიყვანეთ ერთი ელექტროავტომობილი, რათა მოქალაქეებისთვის თავიდანვე ხელშესახები გახდეს ის, რაზეც ამდენი ხანია მიდის მსჯელობა. გადავწყვიტეთ მათ მიეცეთ შესაძლებლობა, თავად შეაფასონ ჩვენი ავტობუსი და დარწმუნდნენ, რამდენად ეკომეგობრული და კომფორტული ტრანსპორტია. რაც შეეხება მომსახურებას, ელექტროავტომობილი სატესტო რეჟიმში მგზავრებს, სავარაუდოდ, ორი კვირის განმავლობაში 61-ე სამარშრუტო ხაზის საშუალებით მოემსახურება, – განმარტავს პატარაია.

როგორც მურმან პატარაია აღნიშნავს, შემდეგი ეტაპია ამწყობი ქარხნის მშენებლობა, რომლის სავარაუდო მდებარეობა თბილისი ან მისი მიმდებარე ტერიტორია (რუსთავი ან მარნეული) იქნება.

– ახლა მიმდინარეობს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, რომელიც 3-4 თვეში უნდა დასრულდეს და შემდგომ დავიწყებთ ქარხნის მშენებლობასაც. ჯერჯერობით ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის და, შესაბამისად, ელექტროავტომობილები დაახლოებით ერთი წლის თავზე უნდა რეალიზდეს, – განმარტავს პატარაია.

კიდევ ერთი სიახლე, რასაც კომპანია „ფრეგობასი“ უახლოეს დღეებში გაასაჯაროებს, არის გაზისა და დიზელის ავტობუსების ეკონომიკური შედარება ელექტროავტომობილებთან.

კომპანია „ფრეგობასმა“ ჩინური კორპორაცია ZTE Corporation-სა და გერმანულ EURABUS-თან ერთად საქართველოში ელექტროავტობუსების წარმოება 2017 წლის ნოემბერში დააანონსა.

# „თბილისელები სამსახურს ყველაზე ხშირად ახლობლის, ნაცნობის რეკომენდაციით იწყებენ“




თბილისელები სამსახურს ყველაზე ხშირად ახლობლის, ნაცნობის რეკომენდაციით იწყებენ – ეს იმ კვლევის შედეგია, რომელიც ACT-იმ (ეისითი – ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფი) განახორციელა. ორგანიზაცია დაინტერესდა, თუ რა გზებით ხდება-მოხდა სამსახურის მოძიება დასაქმებულ თბილისელებს შორის.

კვლევის მონაცემები გვიჩვენებს, რომ თბილისელები სამსახურს ყველაზე ხშირად ახლობლის-ნაცნობის რეკომენდაციით იწყებენ – დასაქმებულთა 55%-მა სამსახური სწორედ ახლო კონტაქტების დახმარებით დაიწყო. მეორე ყველაზე პოპულარული გზა კი ინტერნეტში ვაკანსიის მოძიებაა (12%).

საინტერესოა, რომ დასაქმებულთა უმრავლესობა საკმაოდ დადებითად აფასებს საკუთარ კვალიფიკაციას, ვინაიდან 60%-ის თანახმად, ისინი შეძლებდნენ უშუალო ხელმძღვანელის ჩანაცვლებას, მისი მოვალეობის წარმატებით შესრულებას.

დაბოლოს, ეისითიმ გაარკვია, თუ რამდენად იყენებენ დასაქმებული თბილისის მცხოვრებლები ინტერნეტს სამუშაო პროცესში. როგორც აღმოჩნდა, 10 დასაქმებულიდან საშუალოდ მხოლოდ ოთხი იყენებს ინტერნეტს (37%). საგულისხმოა, რომ სამსახურში ინტერნეტის გამოყენების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია 25-34 ასაკობრივ კატეგორიაში (65% იყენებს), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 65 წლის და უფროსი ასაკის დასაქმებულებში ფიქსირდება (12%).

ACT-ში აცხადებენ, რომ კვლევა თბილისის მასშტაბით, შემთხვევითი შერჩევის გზით 403 ზრდასრულ თბილისის მოსახლეს შორის, 2018 წლის 12 თებერვლიდან 14 თებერვლის პერიოდში ჩატარდა. მონაცემთა სტატისტიკური ცდომილება საშუალოდ 3.0%-6.5%-იან შუალედში მერყეობს. გამოყენებული მეთოდი – პირისპირ ინტერვიუ.

# ლომბარდებში გადახდისუუნარო კლიენტების მიმართვიანობა გაიზარდა

ლომბარდებში გადახდისუუნარო კლიენტების მიმართვიანობა გაიზარდა.

ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ თბილისში მოქმედ სხვადასხვა ლომბარდში განუცხადეს.

მათი ინფორმაციით, ბოლო პერიოდში იმატა ისეთი მომხმარებლების რიცხვმა, რომლებსაც ოქროს, სხვადასხვა ტექნიკის, ავტომანქანის, თუ უძრავის ქონების უზრუნველყოფით სესხის მიღება სურთ, თუმცა მათი საკრედიტო ისტორია უარყოფითია და გადახდისუუნაროდ მიიჩნევიან.

– 2011-2012 წლებში ოქროს ლომბარდებში ერთგვარი ბუმი იყო, რადგან კრიზისის შემდეგ, კომერციულ ბანკებში სესხების აღება გართულებული იყო. ბოლო პერიოდში ასეთი ბუმი და დიდი მომართვიანობა აღარ არის, თუმცა გადახდისუუნარო ადამიანებმა მოიმატეს. ჩვენ ვცდილობთ, რომ მესამედი თანხა გავცეთ, რათა შემდეგ ლომბარდში ჩატოვებული უძრავ-მოძრავი ქონების რეალიზაცია არ გაგვიჭირდეს, – აღნიშნავენ ერთ-ერთ ლომბარდში.

კიდევ ერთ ლომბარდში განგვიცხადეს, რომ გადახდისუუნარო მომხმარებელზე სესხს ნაკლებად გასცემენ, რადგან რისკისგან დაზღვეულები იყვნენ: „ბოლო პერიოდში გადახდისუუნარო ადამიანებზე სესხს ისედაც არ გავცემთ, მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნა არის. საკრედიტო ისტორიას ვამოწმებთ. თუ კლიენტი გაშავებულია სხვადასხვა ბანკში ან ლომბარდში, რა თქმა უნდა, მისთვის სეხის მიცემა რისკიანად ითვლება“.

ამასთან, ერთ-ერთ ლომბარდში განმარტავენ, რომ მათ კომპანიაში შემავალი განაცხადების ნახევარზე მეტს უარყოფითი პასუხი მოსდის, რისი მიზეზიც სწორედ ის არის, რომ მომხმარებელს დადებითი საკრედიტო ისტორია არ გააჩნია.



– თავიდანვე მაქსიმალურად ვცდილობთ, ისეთ მოხმარებელზე არ გავაფორმოთ სასესხო ხელშეკრულება, რომელიც შემდგომში გაპრობლემდება. შემოსული განაცხადების ნახევარზე მეტს უარს ვეუბნებით. ჩვენი მიზანი არ არის, რომ ვინმეს პრობლემა შეექმნას. მხოლოდ იმ შემთხვევაში გავცემთ სესხს, როცა რისკი ნაკლებია და კლიენტს შესწევს უნარი, რომ სესხი დროულად დაფაროს, – აცხადებენ ლომბარდში.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2017 წლის ბოლოსთვის საქართველოში სალომბარდო საქმიანობით დაკავებული 875 მოქმედი ორგანიზაცია (ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა) დაფიქსირდა. 2017 წლის განმავლობაში გაცემული სესხების მოცულობამ 405,8 მლნ ლარი შეადგინა. აქედან 96,4% ფიზიკურ, ხოლო დარჩენილი 3,6% – იურიდიულ პირებზე მოდის. კერძოდ, ფიზიკურ პირებზე გაცემულია 391 მლნ ლარის სესხი.

რაც შეეხება მსესხებელთა რაოდენობას, საქართველოში მოქმედ ლომბარდებში 2017 წლის განმავლობაში მსესხებელთა (კლიენტთა) რაოდენობა 609,4 ათასი ერთეულით განისაზღვრა. აქედან თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა, დაახლოებით 99,6%, ანუ 606.9 ათასი ფიზიკური პირი იყო.

# მოსკოვი უკრაინული მართლმადიდებლობის წინააღმდეგ





უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის შექმნის იდეა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში გაჩნდა. 1919 წელს, უკრაინის სახალხო რესპუბლიკის დროს, ეს ოფიციალურად გაფორმდა. ეროვნული მოძრაობა უკრაინაში იმდენად ძლიერი იყო, რომ თვით ბოლშევიკებიც კი იძულებულნი იყვნენ, ერთხანს უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის არსებობას შეჰგუებოდნენ. 1929-30 წლებში სტალინის მიერ უკრაინული ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია დარბეულ იქნა. მღვდლების უმრავლესობა ან დახვრიტეს, ან გულაგში უკრეს თავი, თავად ეკლესია კი რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას შეუერთეს. უკრაინული ავტოკეფალიური ეკლესიაც მხოლოდ ემიგრაციაში არსებობდა.

1990 წელს უკრაინის ტერიტორიაზე ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია აღდგა. 1991 წელს უკრაინამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მალე კიევის პატრიარქად უწმინდესი და უნეტარესი ფილარეტი აკურთხეს.

მოსკოვი კიევის საპატრიარქოს შექმნას უაღრესად აგრესიულად შეხვდა. თავდაპირველად კრემლი შეეცადა, უკრაინაში მეორე მართლმადიდებელი ეკლესია შეექმნა. ასე წარმოიშვა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია (მოსკოვის საპატრიარქოსი). ის კიევის პატრიარქატს დაუპირისპირდა, რითაც რუსეთი შეეცადა, უკრაინელი ერი გაეხლიჩა.

პატრიარქმა ფილარეტმა შესაშური პოლიტიკური ალღო გამოავლინა. მან მიაღწია იმას, რომ მოსკოვის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებულმა უკრაინის მართლმადიდებელმა ეკლესიამ მაქსიმალური ავტონომია მიიღო. მის წიაღში გამოიკვეთა ჯგუფი, რომელმაც კიევის საპატრიარქოსთან გაერთიანება მოინდომა.

ღირსების რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კიევის საპატრიარქოსა და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის (მოსკოვის საპატრიარქოსი) დაახლოების პროცესი ინტენსიურად წარიმართა. ამან კრემლის რისხვა გამოიწვია. რუსეთის პატრიარქმა კირილემ კატეგორიულად მოითხოვა, რომ მოსკოვის დაქვემდებარებაში მყოფ უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას „რუსკი მირის“ იდეოლოგიის პროპაგანდა დაეწყო. მღვდლების უმრავლესობა ამას წინ აღუდგა, თუმცა აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც კირილეს დაემორჩილნენ. შედეგად მრევლის უმრავლესობასა და

პრომოსკოვურ პოზიციაზე მყოფ მღვდლებს შორის კონფლიქტი გამწვავდა. პარალელურად გაძლიერდა ფრთა, რომელიც კიევის საპატრიარქოსა და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის (მოსკოვის საპატრიარქოსი) გაერთიანებასა და ერთიანი უკრაინული ავტოკეფალიური ეკლესიის შექმნას მოითხოვდა.

უკანასკნელ ხანს კონფლიქტი გამწვავდა. ზოგჯერ პრომოსკოვური ორიენტაციის მღვდლებსა და მრევლს შორის საქმე ფიზიკურ დაპირისპირებამდეც კი მიდიოდა. პოროშენკოც იძულებული გახდა, ჩარეულიყო.

პრეზიდენტმა მიმართა მსოფლიოს პატრიარქ ბართლომეს, რომ უკრაინის ერთიანი მართლმადიდებელი ავტოკეფალიური ეკლესია აღიაროს. პოროშენკოს თხოვნით, ანალოგიური მიმართვა უკრაინის პარლამენტმაც მიიღო. მას მხარი დეპუტატების აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაუჭირა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამას მოსკოვის მწვავე რეაქცია მოჰყვა.

— უკრაინის ავტოკეფალიური ეკლესია არაკანონიკურია! რუსეთი მას მხარს არ დაუჭერს, — აცხადებს პუტინის თანაშემწე დიმიტრი პესკოვი.

# „თუ რუსეთი წესიერად მოიქცევა, ვაშინგტონთან ურთიერთობა გაუმჯობესდება“

აშშ-ის პრეზიდენტის ახალი მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების დარგში ჯონ ბოლტონი რუსეთის ელჩ ანტონოვს შეხვდა. საუბრის ძირითადი თემა რუსეთ-აშშ-ს ურთიერთობა იყო.



ანტონოვმა აღნიშნა, რომ აშშ-სთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება რუსეთის ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება. ბოლტონმა ამაზე მიუგო, რომ ეს ამერიკის ინტერესებშიც არის. ტრამპის მრჩეველმა ჩამოთვალა რამდენიმე პირობა, რომელთა შესრულების შემდეგ რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობის ნორმალიზაცია შესაძლებელია.

— ჩვენ უნდა დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ რუსეთი ამერიკის არჩევნებში არ ჩაერევა. ამას გარდა, რუსეთმა უნდა შეწყვიტოს დესტრუქციული ქმედებები როგორც სირიაში, ასევე უკრაინაში, — თქვა ბოლტონმა.

ტრამპის მრჩეველმა ხაზი გაუსვა, რომ ახლა ყველაფერი რუსეთზეა დამოკიდებული.

— ბურთი თქვენს მოედანზეა, — განაცხადა ბოლტონმა.



# კუბას ახალი პრეზიდენტი ჰყავს — მიგელ დიას-კანელ ბერმუდესი

ფიდელ კასტროს ძმა, რაული, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის (პრეზიდენტის) პოსტიდან გადადგა. ეს თანამდებობა მიგელ დიას-კანელ ბერმუდესმა დაიკავა.

კუბის ახალი პრეზიდენტი 1960 წელს დაიბადა. ის პროფესიით ინჟინერია. პოლიტიკური კარიერა კუბის ახალგაზრდა კომუნისტების კავშირში (კომკავშირის ანალოგიური სტრუქტურა) დაიწყო. ნიკარაგუაში სამოქალაქო ომის დროს იქ სპეცმივლინებაში იმყოფებოდა. კუბაში დაბრუნების შემდეგ ახალგაზრდა კომუნისტების კავშირში იდეოლოგიის საკითხებს განაგებდა. იყო უმაღლესი განათლების მინისტრი, ფიდელ კასტროს სიკვდილის შემდეგ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა.

რაულ კასტრო თანამდებობიდან გადადგა, თუმცა ჯერჯერობით კუბაში ყველაზე გავლენიან ადამიანად რჩება. ის აკონტროლებს არმიას, ფინანსებს. რაულ კასტრომ კომპარტიის ლიდერის პოსტიც შეინარჩუნა.

# რა ხდება სომხეთში?

## რატომ მოითხოვენ საპროტესტო მოძრაობის მონაწილეები პრემიერ სერჟ სარგსიანის გადადგომას

მარიამ მჭედლიშვილი

სომხეთში არეულობა გრძელდება. ერევანსა და სხვა ქალაქებში მიმდინარე მოვლენებს უწოდებენ ხავერდოვან რევოლუციას, ასევე – ფერად რევოლუციასა და ერევნის მაიდანს. პროტესტანტები მოითხოვენ პრემიერობიდან სერჟ სარგსიანის გადადგომას.

საპროტესტო აქციები სომხეთში 13 აპრილს დაიწყო. ოპოზიციურმა სახალხო მოძრაობამ დეპუტატ ნიკოლ პაშინიანის მეთაურობით ააგორა გამოსვლები სერჟ სარგსიანის წინააღმდეგ. ყოფილი პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი პარლამენტმა პრემიერ-მინისტრად 17 აპრილს პროტესტის ფონზე დაამტკიცა.





„ახალი თაობა“ წერდა, რომ სომხეთი გადადის საპარლამენტო მმართველობაზე. პრეზიდენტი არმენ სარგსიანი პარლამენტმა აირჩია.

წინასწარ იყო ცნობილი, რომ ახლად არჩეული პრეზიდენტი არმენ სარგსიანი პარლამენტს პრემიერად ყოფილი პრეზიდენტის, მისი მოგვარე სერჟ სარგსიანის კანდიდატურას შესთავაზებდა. ექსპერტები საუბრობდნენ იმაზე, რომ ამით ხელი შეეწყობოდა ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებას. სომხეთის საპარლამენტო რესპუბლიკა უფრო დემოკრატიულად გამოჩნდებოდა ავტორიტარულ აზერბაიჯანთან შედარებით და დასავლეთი სომხეთს უკეთესი თვალით შეხედავდა.

სერჟ სარგიანის წინააღმდეგ მისი პრეზიდენტობისას არაერთი საპროტესტო აქცია გამართულა. 2008 წელს დემონსტრანტებსა და პოლიციელებს შორის შეტაკებების შედეგად 10 კაცი დაიღუპა და 250-ზე მეტი დაშავდა.

დღეს სერჟ სარგსიანი მოუწოდებს ოპოზიციას, არ გააღვიძოს ჩამქრალი ვულკანები. აქციები, ერევნის გარდა, სომხეთის სხვა ქალაქებშიც მიმდინარეობს. პაშინიანის მოძრაობას სოლიდარობა მოსკოვშიც გამოუცხადეს. იქ სომხეთის საელჩოსთან სამი კაცი დააკავეს, შემდეგ კი გამოუშვეს.

ოპოზიცია საუბრობს სარგსიანის არაეფექტურ მმართველობაზე, ეკონომიკური სიტუაციის გაუარესებაზე.

ოპონენტების გაცხარებას იწვევს სერჟ სარგსიანის სიყალბე. საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლითაც სომხეთი საპარლამენტო რესპუბლიკა გახდა, სერჟ სარგსიანის ინიცირებულია. ამ საკითხზე რეფერენდუმიც ჩატარდა. გამოკითხულთა 63%-ზე მეტი დაეთანხმა ახალ მოდელს. ახალი სისტემა გულისხმობს ძლიერ პრემიერსა და ცერემონიულ პრეზიდენტს.

2014 წლის აპრილში სერჟ სარგსიანმა პირობა დადო, რომ არც პრეზიდენტობაზე და არც პრემიერობაზე პრეტენზია არ ექნებოდა და 2018 წლიდან პოლიტიკიდან წავიდოდა.

2017 წელს მმართველმა რესპუბლიკურმა პარტიამ პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა არმენ სარგსიანი – ყოფილი ელჩი გაერთიანებულ სამეფოში. მალე ცნობილი გახდა, რომ მომავალ პრემიერად მოიაზრებოდა სერჟ სარგსიანი.

შეკრებილები აქცენტს მისი პიროვნების მიუღებლობაზე აკეთებენ. ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ საპარლამენტო მმართველობის გამრუდებაზე.

— დე ფაქტო, ჩვენ მმართველობის საპარლამენტო სისტემაზე კი არ გადავედით, არამედ, მივიღეთ ერთპარტიული სისტემა, რომელსაც სუპერპრეზიდენტი უდგას სათავეში. ამ სუპერპრეზიდენტს სახელად პრემიერ-მინისტრი ჰქვია, — აცხადებს ექსპერტი არტურ საკუნცი.

სამხედრო ექსპერტ აიკ ნააპეტიანის შეფასებით, სომხეთში ფერადი რევოლუციის ნიშნებია. მის ავტორებს უნდათ სომხეთის გამოყვანა რუსეთის გავლენიდან. შეკრებილები იმავე მეთოდებს მიმართავენ, რომლებიც ფერადი რევოლუციებისას სხვებმა გამოცადეს. ფერად მისიონერებს ხელისუფლების მიმართ დაგროვილი ობიექტური და სუბიექტური უკმაყოფილების გამოყენების იმედი აქვთ. მისი აზრით, სომხეთში არეულობით ისარგებლებს აზერბაიჯანი. სხვა ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ დღევანდელი კრიზისი არ იმოქმედებს ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების პროცესზე.

— ჩვენ არ ვიხელმძღვანელებთ აშშ-ის, ევროკავშირის ან რუსეთის ინტერესებით. ჩვენი მიზანი სომხეთის ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების სამსახურია. ეს ინტერესები მოითხოვს სარგსიანის წასვლას პრემიერ-მინისტრის პოსტიდან, — აცხადებს ოპოზიციური მოძრაობის ლიდერი, დეპუტატი ნიკოლ პაშინიანი.

# აშშ-მ ისრაელს დამოუკიდებლობის 70-ე წლისთავი მიულოცა



აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა ჯონ სალივანმა ისრაელს დამოუკიდებლობის 70-ე წლისთავი მიულოცა. სალივანმა აღნიშნა, რომ ისრაელმა უდიდეს გამოწვევებს გაუძლო და თანამედროვე, ძლიერ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. დღეს ისრაელი მთელი ახლო აღმოსავლეთის დემოკრატიის ბასტიონია.

— ისრაელი აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე საიმედო მოკავშირეა, -— თქვა სალივანმა.



# ერაყმა სირია დაბომბა

ერაყის ავიაციამ სირიაზე დარტყმა განახორციელა. ერაყის პრემიერ აბადის ცნობით, დარტყმა ისლამური სახელმწიფოს პოზიციებზე განხორციელდა.

— ჩვენი მოქმედება პრეზიდენტ ასადთან შეთანხმებული იყო, — თქვა აბადიმ.

ასადის პრესსამსახურმა ეს არც დაადასტურა და არც უარყო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# მირზა სუბელიანი — „ვანო მერაბიშვილი საკნიდან არავის გაუყვანია, ეს დაადგინა გენინსპექციამ ჩემი ხელმძღვანელობით“



საქართველოს პროკურატურის ყოფილი თანამშრომელი მირზა სუბელიანი, რომლის შვილიც ხორავას ქუჩაზე მომხდარში ფიგურირებს, გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს იმის თაობაზე, რომ ვანო მერაბიშვილის ციხიდან გაყვანის კადრები აქვს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სუბელიანმა განუცხადა, სასჯელაღსრულების სამინისტროში მუშაობის პერიოდში, სწორედ გენერალურმა ინსპექციამ მისი ხელმძღვანელობით ჩაატარა სამსახურებრივი შემოწმება და დადგინდა, რომ რასაც მერაბიშვილი აცხადებდა, ტყუილი და წინასწარ მოფიქრებული სპექტაკლი იყო.

მისი თქმით, რეალურად ვანო მერაბიშვილის საკნიდან გაყვანას ადგილი არ ჰქონია.

— უკვე რამდენიმე თვეა, ვაკვირდები ხორავას ქუჩაზე მომხდარი უბედური შემთხვევის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს, დაკვირვებით ვუყურებ და ვუსმენ დაცვის მხარის ადვოკატების კომენტარებს, დეტალურად ვადევნებ თვალს სასამართლო პროცესების მიმდინარეობას და გადავწყვიტე, რომ მეც დავაფიქსირო ჩემი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. სრულად მაქვს გაცნობიერებული, თუ რამხელა ტრაგედია მოხდა იმ დღეს ხორავას ქუჩაზე და სრულად ვიზიარებ გარდაცვლილი ბავშვების მშობლების ტკივილს და უბედურებას.

სწორედ იმიტომ, რომ ჩემი შვილი იყო ერთ-ერთი მათგანი, ვინც ბავშვებს შორის მომხდარ ჩხუბში რაღაც ფორმით მონაწილეობდა, მე პირველივე დღეს, მორალური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, დავწერე განცხადება და დავტოვე საქართველოს პროკურატურა. ამ გადაწყვეტილების ერთადერთი მიზანი იყო ის, რომ მომავალში ერთ ადამიანს მაინც არ დარჩენოდა კითხვის ნიშანი სამართლებრივი პროცესების მიმართ. წინასწარ ვიცოდი, რომ ჩემი სახელი და გვარი გახდებოდა შემდგომში გარკვეული პოლიტიკური ჯგუფებისთვის მანიპულირების შესაძლებლობა და მე მათთვის ეს შესაძლებლობა პირველივე დღეს მსურდა, რომ მომესპო.

მიუხედავად ამისა, დღეს უკვე ვხედავ და ვისმენ არაერთ სიბინძურეს და არ შემიძლია ამ ყველაფრის შესახებ საზოგადოებისთვის განმარტებები არ გავაკეთო. ვინმე ზვიად კუპრავა, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ზონდერია, ამავე პოლიტიკური დაჯგუფების მითითებით, პირდაპირ ახდენს სამართლებრივი პროცესის დისკრედიტაციას. იმდენად ამორალური და ბინძურია ეს ჯგუფი, რომ კუპრავას ხელით, გარდაცვლილი ბავშვების და მათი ოჯახების ტრაგედია საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენეს. ერთი მხრივ, ჩვენ გვაქვს სასამართლოში მიმდინარე პროცესები, სადაც ყველას აქვს მოლოდინი, რომ დამნაშავეები აუცილებლად უმკაცრესად აგებენ პასუხს, ხოლო მეორე მხრივ ასპარეზზე გამოჩნდა ვინმე კუპრავა, მისი და მისი უფროსების პოლიტიკური მიზნებით, იმდენად ბინძური და ყველაფერზე წამსვლელია ეს ხალხი, რომ არ მოერიდნენ ამ უბედურების საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებას და ტრაგედია, რომელიც ეხება ორ გარდაცვლილ ბავშვს და მათ უკან მდგომ უბედურ მშობლებს, საზოგადოებისთვის ვანო მერაბიშვილის სახელისა და გვარის გასახსენებლად გამოიყენეს.

ბრალდება, რომ თითქოს მე მაქვს მსჯავრდებული მერაბიშვილის ციხიდან გაყვანის კადრები, იმდენად აბსურდულია, რომ კომენტარადაც კი არ ღირს, უბრალოდ მოკლედ განვმარტავ, რომ სასჯელაღსრულების სამინისტროში მუშაობის პერიოდში, სწორედ გენერალურმა ინსპექციამ ჩემი ხელმძღვანელობით ჩაატარა სრულყოფილი სამსახურებრივი შემოწმება და დავადგინეთ, რომ რასაც მერაბიშვილი აცხადებდა, იყო ტყუილი, წინასწარ მოფიქრებული სპექტაკლი და რეალურად მის საკნიდან გაყვანას ადგილი არ ქონია. ჩემი ამ განცხადების მიზანი ის კი არ არის, რომ მაქვს იმედი, კუპრავა და მის უკან მდგომი მისი უფროსები გონს მოეგებიან და შეწყვეტენ ამ ბინძურ კამპანიას, არამედ ჩემი მიზანია, რომ საზოგადოებამ იცოდეს სიმართლე.

ჩემთვის უაღრესად მტკივნეულია, რომ ამ ბინძურ კამპანიაში, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩართული აღმოჩნდა ერთ-ერთი დაზარალებული და საკმაოდ მძიმე მოსასმენი და სანახავია მისი და კუპრავას თანხვედრი განცხადებები, ყველაზე ამაზრზენი კი ის ფაქტია, რომ კუპრავას და მის უფროსებს ეს ადამიანი საერთოდ არ აღელვებთ და მათ საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგი აქვთ. ორი ბავშვის სიკვდილი არა მხოლოდ მათი ოჯახების, არამედ პირადად ჩემი და ჩემი ოჯახის ტრაგედიაა. პირველივე დღიდან ჩემთვის მთავარი იყო, რომ საქმეზე დადგენილიყო სიმართლე, ახლაც ამ აზრზე ვარ და მჯერა, რომ სასამართლო მიიღებს ობიექტურ გადაწყვეტილებას. რაც შეეხებათ იმ პირებს, ვინც ამ ტრაგედიას საკუთარი პოლიტიკური გეგმებისთვის იყენებენ, საზოგადოებას ატყუებენ და ცდილობენ, დესტრუქცია შეიტანონ მართლმსაჯულების პროცესში, მჯერა, რომ ვერასოდეს მიაღწევენ თავიანთ მიზანს, რადგან საზოგადოება ყველაფერს ნათლად ხედავს და სწორ დასკვნებსაც აკეთებს, — აცხადებს მირზა სუბელიანი.

შეგახსენებთ, რომ „სამართალდამცველთა რეფორმირების ცენტრის“ ხელმძღვანელმა ზვიად კუპრავამ განაცხადა, რომ მას აქვს დადასტურებული ინფორმაცია, რომ შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის ამსახველ კადრებს მირზა სუბელიანი ინახავს, რომელიც იმ პერიოდში სასჯელაღსრულების სამინისტროს გენინსპექციის უფროსი იყო.

მისივე თქმით, სუბელიანი პროკურატურას ამ კადრებით აშანტაჟებს, ვინაიდან არ სურს, რომ ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე პასუხისგებაში სხვა პირები მიეცნენ.

# საქართველოს მთავრობა ევროსასამართლოს სთხოვს, „რუსთავი 2“ ქიბარ ხალვაშს გადაეცეს

იუსტიციის სამინისტრო სტრასბურის სასამართლოსთვის გაგზავნილ მოთხოვნაში ევროსასამართლოს სთხოვს, რომ „რუსთავი 2-თან“ დაკავშირებით დროებითი ღონისძიება გააუქმოს, რაც ავტომატურად უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლას გამოიწვევს.საქართველოს ხელისუფლება ითხოვს, რომ სამაუწყებლო კომპანია მის „კანონიერ მესაკუთრეს — ქიბარ ხალვაშს“ გადაეცეს. დოკუმენტი „რუსთავი 2-ის“ იურისტებისთვის ხელმისაწვდომი 19 აპრილს გახდა. საქართველოს ხელისუფლების შეფასებით, „რუსთავი 2-ის“ სარედაქციო დამოუკიდებლობას საფრთხე არ ემუქრება, ხოლო სტრასბურის მიერ გამოყენებული დროებითი ღონისძიება ლახავს საქართველოს სასამართლოს იმიჯს.

ხელისუფლება ამბობს, რომ სასამართლოზე ზეწოლას სწორედ „რუსთავი 2“ ახდენს, არგუმენტად კი „ევროპული საქართველოს“ განცხადება მოჰყავს, სადაც პარტია ტელეკომპანიას ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებდა. საქართველოს მთავრობა ასევე ეყრდნობა „რუსთავი 2-ის“ ყოფილი ტელეწამყვანის, აკაკი გოგიჩაიშვილის, ბრალდებას, რომ ის ნიკა გვარამიას დირექტორობის პერიოდში დამოუკიდებელი არ იყო.

„რუსთავი 2-ის“ იურისტების განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, რომ სამაუწყებლო კომპანიის კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკა შეცვალოს.

— ერთადერთი, რასაც მთავრობა აღიარებს, არის ის, რომ „რუსთავი 2“ ნამდვილად პოპულარული არხია. ამბობს, რომ „რუსთავი 2-ის“ დამოუკიდებლობას არ ემუქრება საფრთხე, რომ „რუსთავი 2“ ხშირად არის კრიტიკული მთავრობის მიმართ, მაგრამ ამბობს, რომ თუ ვინმე თავდასხმას ახორციელებს, ეს თავად რუსთავი 2-ია, რომელიც მოსამართლეებს თავს ესხმის და ის არის ცრუ ინფორმაციის გამავრცელებელი არხი. არხი რომ თავად ახორციელებს ჟურნალისტებზე ზეწოლას, ამის მაგალითად მოჰყავთ უკანასკნელი პერიოდის მაგალითები, „ევროპული საქართველოს“ განცხადებები, სადაც ისინი გვადანაშაულებენ ცრუ ინფორმაციის განზრახ გავრცელებაში და ასევე აკაკი გოგიჩაიშვილის Facebook პოსტების ე.წ. სქრინშოტები, სადაც ის საუბრობდა ნიკა გვარამიას მხრიდან თითქოს ზეწოლაზე, რომ ის არ იყო დამოუკიდებელი და ამის გამო წავიდა ტელევიზიიდან,— განაცხადა თამთა მურადაშვილმა.

*რუსთავი 2*

# თემირლან მაჩალიკაშვილის მშობლებმა სუს-ს სასამართლოში უჩივლეს



არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (იმეჯი) თემირლან მაჩალიკაშვილის მშობლების სახელით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წინააღმდეგ, თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

სარჩელი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ, 2017 წლის 26 დეკემბერს ახმეტის რაიონში ჩატარებული სპეცოპერაციის თაობაზე, 2017 წლის 26 დეკემბერსა და 2018 წლის 4 იანვარს გაკეთებულ საჯარო განცხადებებს უკავშირდება, რომელშიც სუს-ის ოფიციალური წარმომადგენლები, მტკიცებით ფორმაში უთითებდნენ მოსარჩელეების შვილის, თემირლან მაჩალიკაშვილის მიერ, სისხლის სამართლის კოდექსის 331 1-ე მუხლით (ტერორიზმის მხარდაჭერა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის თაობაზე. სარჩელის მიხედვით, 2017 წლის 26 დეკემბერს ბრიფინგის ფარგლებში გაკეთებულ განცხადებაში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ადმინისტრაციის უფროსი ნინო გიორგობიანი, მტკიცებით ფორმაში საუბრობს და პირდაპირ მიუთითებს სპეცოპერაციის ფარგლებში დაკავებული პირების, მათ შორის, მოსარჩელეთა შვილის თემირლან მაჩალიკაშვილის მხრიდან დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებაზე.

ამასთან, განმარტებების გარეშე, სუს-ის მიერ გავრცელდა ვიდეოჩანაწერი, რომელშიც თემირლან მაჩალიკაშვილი ვაგზლის ტერიტორიაზე გადაადგილდებოდა, ბერი სალოსის ქუჩაზე დაკავებულ/ლიკვიდირებულ პირებთან ერთად. აღნიშნული ვიდეო სუს-მა ჯერ პანკისის ხეობის უხუცესთა საბჭოს გაუზიარა, ხოლო მოგვიანებით, ვიდეოჩანაწერი მედიისთვისაც გასაჯაროვდა, რომლის თაობაზე გამართულ პრესკონფერენციაზე, წინა პრესკონფერენციის მსგავსად, სუს-ი კვლავ მტკიცებით ფორმაში მიუთითებდა, თემირლანის დამნაშავეობაზე, რაც განცხადებების ამგვარ, მტკიცებით ფორმაში გაკეთების პირობებში, საქმის დეტალებში გაუთვითცნობიერებელ მოსახლეობას ავტომატურად არწმუნებდა თემირლანის დამნაშავეობაში.

აღნიშნული ვიდეოს მტკიცებულებითი ღირებულება სადავო განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა, რაც საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული პირები პანკისის ხეობას თვეების განმავლობაში სტუმრობდნენ და მათ ადგილობრივები სხვა სახელებითა და ვინაობით იცნობდნენ. ადვოკატების განცხადებით, იმის მიუხედავად, რომ სუსი მითითებულ საქმეზე ბრალდების მხარეს წარმოადგენდა, მასზე უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის ვალდებულება მაინც ვრცელდებოდა.

„სუს-ის მიერ თემირლან მაჩალიკაშვილის გამოძიების საწყის ეტაპზევე დამნაშავედ გამოცხადება მისი სიცოცხლის დაცვის ღირებულების დასუსტებისა და დეჰუმანიზაციის მცდელობა იყო და, სავარაუდოდ, სპეცოპერაციის დაგეგმვისა და განხორციელების დროს მისი უფლებების დარღვევის გადაფარვის მცდელობას ისახავდა მიზნად.

აღნიშნულ დავას ოჯახისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ პირობებში, როდესაც მათ გამოძიების ფარგლებში თემირლან მაჩალიკაშვილის ბრალეულობაზე დავის შესაძლებლობა წართმეული აქვთ“, — აცხადებს იმეჯი.

სასარჩელო მოთხოვნაში მოსარჩელეები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან თემირლან მაჩალიკაშვილის უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის დადგენასა და მათ მიმართ მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვენ. შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვის შემდეგ, მათ შორის, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევისა და ამ გზით ოჯახის წევრების ღირსების შელახვის საკითხებზე, იმეჯი დავის გაგრძელებას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში აპირებს.

**რეგინფო**


# განცხადებები

**შევისყიდით წიგნებს!**

ბუკინისტური მაღაზია „არსი“ შეიძენს 1950 წლამდე გამოცემულ წიგნებს, სპეციალისტების ადგილზე მისვლითაც. მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი №16. წიგნების ფოტოები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ელ.ფოსტით: booking.shop@mail.ru ან დაგვირეკეთ ტელ: 557-64-67-60.

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება — კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) — მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

# იტალიაში ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდები ერთმანეთს ხვდებიან

## სტატისტიკა, ფსონები

**თითქმის ყველა წამყვან საფეხბურთო ქვეყანაში გადაწყვეტილია ჩემპიონის ბედი. დარჩენილია მხოლოდ იტალია და სწორედ ტიტულის მაძიებლები, იუვენტუსი და ნაპოლი, ხვდებიან ერთმანეთს. მატჩი ტურინში გაიმართება და მასპინძლების გამარჯვების შემთხვევაში კითხვის ნიშანი აქაც მოიხსნება. ნაპოლის თუ რამის იმედი აქვს, ტურინში უნდა მოიგოს.**



### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 21.04 ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული | 6.0 | 4.0 | 1.53 |
| 21.04 უოტფორდი-კრ.პალასი | 2.8 | 3.3 | 2.5 |
| 22.04 არსენალი-ვესტ ჰემი | 1.53 | 4.5 | 5.5 |
| 22.04 სტოკი-ბარნლი | 2.3 | 3.1 | 3.3 |
| 22.04 სიტი-სუონსი | 1.12 | 8.5 | 19.0 |
| 23.04 ევერტონი-ნიუკასლი | 2.3 | 3.2 | 3.2 |

**ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული**

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-გარეთ ბერი, ჯეიმს მორისონი

ლივერპული: ***ტრავმ***-ჯოელ მატიპი, ადამ ლალანა, ემრე ჯანი

**უოტფორდი-კრ.პალასი**

უოტფორდი: ***ტრავმ***-ჟერარდ დეულოფე, ტომ კლევერლი, იუნის კაბული, ნათან ჩალობა

კრ.პალასი: ***ტრავმ***-ჯეფ შლუპი, ბაკარი საკო, ჯეისონ პუნჩეონი, სკოტ დანი

**არსენალი-ვესტ ჰემი**

არსენალი: ***ტრავმ***-ჰენრიკ მხითარიანი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-მაიკლ ანტონიო, უინსტონ რიდი, პედრო ობიანგი

**სტოკი-ბარნლი**

სტოკი: ***ტრავმ***-კონსტატინოს სტაფილიდისი, მაქსიმ ჩუპო-მოტინგი, ლი გრანტი

ბარნლი: ***ტრავმ***-სკოტ არფილდი, ბენ მიი, სტივ დეფო, ჯონათან უოლტერსი, რობი ბრეიდი

**სიტი-სუონსი**

სიტი:***ტრავმ***-ჯონ სტოუნსი, ბენჯამინ მენდი

სუონსი: ***ტრავმ***-ლეროი ფერი, ვილფრედ ბონი

**ევერტონი-ნიუკასლი**

ევერტონი:***ტრავმ***-მეისონ ჰოლგეიტი, გილფი სიგურდსონი, ელაქუიმ მანგალა, ჯეიმს მაკკარტნი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 33 | 28 | 3 | 2 | 93-25 | 87 |
| 2.მანჩესტერი | 34 | 23 | 5 | 6 | 65-26 | 74 |
| 3.ლივერპული | 34 | 20 | 10 | 4 | 78-35 | 70 |
| 4.ტოტენჰემი | 34 | 20 | 8 | 6 | 66-31 | 68 |
| 5.ჩელსი | 34 | 19 | 6 | 9 | 59-34 | 63 |
| 6.არსენალი | 33 | 16 | 6 | 11 | 62-45 | 54 |
| 7.ბარნლი | 34 | 14 | 10 | 10 | 34-31 | 52 |
| 8.ლესტერი | 34 | 11 | 11 | 12 | 49-47 | 44 |
| 9.ევერტონი | 34 | 11 | 9 | 14 | 39-54 | 42 |
| 10.ნიუკასლი | 33 | 11 | 8 | 14 | 35-42 | 41 |
| 11.ბორნმუთი | 35 | 9 | 11 | 15 | 41-58 | 38 |
| 12.უოტფორდი | 34 | 10 | 7 | 17 | 42-60 | 37 |
| 13.ბრაიტონი | 34 | 8 | 12 | 14 | 32-47 | 36 |
| 14.ვესტ ჰემი | 33 | 8 | 11 | 14 | 41-59 | 35 |
| 15.ჰადერსფილდი | 34 | 9 | 8 | 17 | 27-54 | 35 |
| 16.კრ.პალასი | 34 | 8 | 10 | 16 | 36-54 | 34 |
| 17.სუონსი | 33 | 8 | 9 | 16 | 27-46 | 33 |
| 18.საუთჰემპტონი | 34 | 5 | 14 | 15 | 33-53 | 29 |
| 19.სტოკი | 34 | 6 | 10 | 18 | 31-64 | 28 |
| 20.ვესტ ბრომვიჩი | 34 | 4 | 12 | 18 | 27-52 | 24 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 21.04 ეიბარი-ხეტაფე | 2.1 | 3.0 | 4.0 |
| 21.04 სელტა-ვალენსია | 2.5 | 3.5 | 2.7 |
| 22.04 ხირონა-ესპანიოლი | 2.2 | 3.2 | 3.4 |
| 22.04 მალაგა-სოსიედადი | 4.0 | 3.4 | 1.95 |
| 22.04 ლას პალმასი-ალავესი | 2.87 | 3.2 | 2.5 |
| 22.04 ატლეტიკო-ბეტისი | 1.5 | 4.0 | 7.0 |
| 23.04 ბილბაო-ლევანტე | 1.73 | 3.6 | 5.0 |

**ეიბარი-ხეტაფე**

ეიბარი: ***ტრავმ***-ანაიც არბილია, ფაბიან ორელანა, ტაკაში ინუი, ივან რამისი, სერხი ენრიჩი

ხეტაფე: ***ტრავმ***-მარკელ ბერგერა, მაურო არამბარი

**სელტა-ვალენსია**

სელტა: ***ტრავმ***-პაბლო

ვალენსია: ***ტრავმ***-არავინ

**ხირონა-ესპანიოლი**

ხირონა:***ტრავმ***-იონას რომალიო

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ოსკარ დუარტე, დიეგო ლოპესი

**მალაგა-სოსიედადი**

მალაგა: ***ტრავმ***-ფედერიკო რიკა, ხუანპი, ადალბერტო პენარანდა, ხუანკარი

სოსიედადი:***ტრავმ***-იმანოლ აგირეჩე, მიგელ მოია, ხავი პრიეტო

**ლას პალმასი-ალავესი**

ლას პალმასი: ***ტრავმ***-მომო ფიგუერა, გაბრიელ პენალბა

ალავესი: ***ტრავმ***-კარლოს ვიგარაი

**ატლეტიკო-ბეტისი**

ატლეტიკო: ***ტრავმ***-დიეგო კოსტა, ფელიპე ლუისი

ბეტისი: ***ტრავმ***-ანტონიო ადანი, ზუჰარ ფედალი

**ბილბაო-ლევანტე**

ბილბაო: ***ტრავმ***-არავინ

ლევანტე:***ტრავმ***-ჯამპაოლო პაცინი, ტონო, ჩეიკ დაკური, რაული, ივან ლოპესი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 33 | 25 | 8 | 0 | 83-19 | 83 |
| 2.ატლეტიკო | 33 | 21 | 8 | 4 | 54-18 | 71 |
| 3.რეალი | 33 | 20 | 8 | 5 | 80-36 | 68 |
| 4.ვალენსია | 33 | 20 | 5 | 8 | 61-35 | 65 |
| 5.ბეტისი | 33 | 17 | 4 | 12 | 54-53 | 55 |
| 6.ვილიარეალი | 33 | 15 | 6 | 12 | 45-40 | 51 |
| 7.სევილია | 33 | 14 | 6 | 13 | 41-52 | 48 |
| 8.ხირონა | 33 | 13 | 8 | 12 | 46-50 | 47 |
| 9.ხეტაფე | 33 | 12 | 9 | 12 | 38-31 | 45 |
| 10.სელტა | 33 | 12 | 8 | 13 | 52-46 | 44 |
| 11.სოსიედადი | 33 | 12 | 7 | 14 | 60-52 | 43 |
| 12.ეიბარი | 33 | 12 | 7 | 14 | 37-46 | 43 |
| 13.ბილბაო | 33 | 9 | 13 | 11 | 36-39 | 40 |
| 14.ლეგანესი | 33 | 11 | 6 | 16 | 28-41 | 39 |
| 15.ალავესი | 33 | 12 | 2 | 19 | 30-47 | 38 |
| 16.ესპანიოლი | 33 | 8 | 12 | 13 | 26-40 | 36 |
| 17.ლევანტე | 33 | 7 | 13 | 13 | 29-48 | 34 |
| 18.დეპორტივო | 33 | 6 | 9 | 18 | 32-65 | 27 |
| 19.ლას პალმასი | 33 | 5 | 6 | 22 | 22-65 | 21 |
| 20.მალაგა | 33 | 4 | 5 | 24 | 20-51 | 17 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 21.04 ჰამბურგი-ფრაიბურგი | 2.15 | 3.0 | 3.75 |
| 21.04 ლაიპციგი-ჰოფენჰაიმი | 2.05 | 3.8 | 3.2 |
| 21.04 ჰანოვერი-ბაიერნი | 5.5 | 4.5 | 1.53 |
| 21.04 აინტრახტი-ჰერტა | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 21.04 შტუტგარტი-ვერდერი | 2.3 | 3.3 | 3.1 |
| 21.04 დორტმუნდი-ლევერკუზენი | 2.3 | 3.6 | 2.87 |
| 22.04 აუგსბურგი-მაინცი | 2.25 | 3.2 | 3.3 |
| 22.04 კიოლნი-შალკე | 4.0 | 3.5 | 1.91 |

**ჰამბურგი-ფრაიბურგი**

ჰამბურგი: ***ტრავმ***-სვენ შიპლოკი, ვასილი იანიჩიჩი, ბობი ვუდი, დენის დიკმაიერი, ანდრე ჰანი, მერჯიმ მავრაი, ნიკოლაი მიულერი

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-არავინ

**ლაიპციგი-ჰოფენჰაიმი**

ლაიპციგი: ***ტრავმ***-მარსელ საბიტერი, კონდრად ლაიმერი, მარსელ ჰალშტენბერგი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-დენის გეიგერი, ფელიქს პასლაკი

**ჰანოვერი-ბაიერნი**

ჰანოვერი:***ტრავმ***-მანუელ შმაიდებახი, ჯონათასი, ვალდემარ ანტონი, ფლორიან ჰუბნერი, ჩარლისონ ბენშოპი, ფელიპე

ბაიერნი: ***ტრავმ***-არტურო ვიდალი, კინგსლი კომანი, მანუელ ნოიერი

**აინტრახტი-ჰერტა**

აინტრახტი: ***ტრავმ***-ანტე რებიჩი, კარლოს სალსედო, ომარ მასკარელი

ჰერტა:***ტრავმ***-ფაბიან ლუშტენბერგერი, ალექსანდერ ესვეინი, ჯორდან ტორუნარიგა, მაქსიმილიან მიტელშტადი

**შტუტგარტი-ვერდერი**

შტუტგარტი: ***ტრავმ***-არავინ

ვერდერი: ***ტრავმ***-არონ იოჰანსონი, ლუდვიგ აუგუსტინსონი, ფინ ბარტელსი

**დორტმუნდი-ლევერკუზენი**

დორტმუნდი: ***ტრავმ***-რაფაელ გერერო, შინჯი კაგავა

ლევერკუზენი:***ტრავმ***-ვენდელი, ჯოელ პოჯანპალო

**აუგსბურგი-მაინცი**

აუგსბურგი: ***ტრავმ***-კევინ დანსო, რაფაელ ფრამბერგერი, დანიელ ოპარე

მაინცი: ***ტრავმ***-არავინ

**კიოლნი-შალკე**

კიოლნი: ***ტრავმ***-ლუკას კლუნტერი, ტიმო ჰორნი, პაველ ოლკოვსკი, ტიმ ჰანდვერკერი, დომინიკ მარო

შალკე: ***ტრავმ***-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 30 | 24 | 3 | 3 | 81-22 | 75 |
| 2.შალკე | 30 | 16 | 7 | 7 | 47-33 | 55 |
| 3.ლევერკუზენი | 30 | 14 | 9 | 7 | 55-37 | 51 |
| 4.დორტმუნდი | 30 | 14 | 9 | 7 | 57-41 | 51 |
| 5.ლაიპციგი | 30 | 13 | 8 | 9 | 45-42 | 47 |
| 6.ჰოფენჰაიმი | 30 | 12 | 10 | 8 | 55-42 | 46 |
| 7.აინტრახტი | 30 | 13 | 7 | 10 | 41-37 | 46 |
| 8.გლადბახი | 30 | 11 | 7 | 12 | 39-48 | 40 |
| 9.ჰერტა | 30 | 9 | 12 | 9 | 35-35 | 39 |
| 10.შტუტგარტი | 30 | 11 | 6 | 13 | 27-35 | 39 |
| 11.აუგსბურგი | 30 | 9 | 10 | 11 | 38-40 | 37 |
| 12.ვერდერი | 30 | 9 | 10 | 11 | 34-36 | 37 |
| 13.ჰანოვერი | 30 | 9 | 9 | 12 | 38-44 | 36 |
| 14.ვოლფსბურგი | 30 | 5 | 15 | 10 | 30-37 | 30 |
| 15.მაინცი | 30 | 7 | 9 | 14 | 32-47 | 30 |
| 16.ფრაიბურგი | 30 | 6 | 12 | 12 | 26-50 | 30 |
| 17.ჰამბურგი | 30 | 5 | 7 | 18 | 23-48 | 22 |
| 18.კიოლნი | 30 | 5 | 6 | 19 | 29-58 | 21 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 21.04 სპალი-რომა | 4.33 | 3.5 | 1.83 |
| 21.04 სასუოლო-ფიორენტინა | 3.2 | 3.3 | 2.25 |
| 21.04 მილანი-ბენევენტო | 1.22 | 6.0 | 13.0 |
| 22.04 კალიარი-ბოლონია | 2.0 | 3.4 | 3.8 |
| 22.04 უდინეზე-კროტონე | 1.85 | 3.3 | 4.5 |
| 22.04 ლაციო-სამპდორია | 1.36 | 5.0 | 8.0 |
| 22.04 კიევო-ინტერი | 6.0 | 4.0 | 1.55 |
| 22.04 ატალანტა-ტორინო | 1.55 | 4.0 | 6.0 |
| 22.04 იუვენტუსი-ნაპოლი | 2.0 | 3.25 | 3.75 |
| 23.04 ჯენოა-ვერონა | 1.5 | 4.0 | 7.0 |

**სპალი-რომა**

სპალი: ***ტრავმ***-ლორენცო შიმიჩი, პასკუალე შიატარელა, ფილიპო კოსტა, მარკო ბორიელო

რომა: ***ტრავმ***-გრეგუარ დეფრე, დიეგო პეროტი

**სასუოლო-ფიორენტინა**

სასუოლო:***ტრავმ***-სტეფანო სენსი, პოლ ლიროლა, ედუარდო კოლდანიგა, ტიმო ლეხტერი

ფიორენტინა:***ტრავმ***-სირილ ტერო, მილან ბადელი

**მილანი-ბენევენტო**

მილანი: ***ტრავმ***-ალესიო რომანიოლი, ანდრეა კონტი

ბენევენტო: ***ტრავმ***-გილერმე, ლედიან მემუშაი, ფაბიო ლუჩიონი, ლუკა ანტეი

**კალიარი-ბოლონია**

კალიარი: ***ტრავმ***-დიეგო ფარიასი, დანიელე დესენა, ალესანდრო დეიოლა

ბოლონია: ***ტრავმ***-ლადისლავ კრეიჩი, გოტფრიდ დონსა, ვასილის ტოროსიდისი

**უდინეზე-კროტონე**

უდინეზე: ***ტრავმ***-სტიგერ ლარსენი, კევინ ლასანგა, გაბრიელ ანგელა, ვალონ ბეჰრამი

კროტონე:***ტრავმ***-ანდრეა ნალინი, აჰმად ბენალი, ანტე ბუდიმირი

**ლაციო-სამპდორია**

ლაციო: ***ტრავმ***-პატრიჩი

სამპდორია:***ტრავმ***-ნიკოლა მურუ

**კიევო-ინტერი**

კიევო: ***ტრავმ***-მეჰდი ლერისი, ჯანლუკა გაუდინო

ინტერი: ***ტრავმ***-არავინ

**ატალანტა-ტორინო**

ატალანტა: ***ტრავმ***-ხოსე ლუის პალომინო, ლეონარდო სპინაზოლა, ლუკას რიცო. იოსიპ ილიჩიჩი

ტორინო: ***ტრავმ***-ლიანჩო

**იუვენტუსი-ნაპოლი**

იუვენტუსი:***ტრავმ***-მირალემ პიანიჩი, მატია დე შილიო

ნაპოლი: ***ტრავმ***-ფაუზი გულმანი

**ჯენოა-ვერონა**

ჯენოა: ***ტრავმ***-ადელ ტაარაბტი, ნიკოლას სპოლი, დავიდე ბირაჩი, არმანდო იზზო, სანტიაგო ჯენტილეტი

ვერონა: ***ტრავმ***-მარკო ფოსატი, სიმონე კალვანო, მოის კინი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 33 | 27 | 4 | 2 | 78-19 | 85 |
| 2.ნაპოლი | 33 | 25 | 6 | 2 | 70-23 | 81 |
| 3.რომა | 33 | 19 | 7 | 7 | 52-27 | 64 |
| 4.ლაციო | 33 | 19 | 7 | 7 | 79-43 | 64 |
| 5.ინტერი | 33 | 17 | 12 | 4 | 54-22 | 63 |
| 6.მილანი | 33 | 15 | 9 | 9 | 44-37 | 54 |
| 7.ატალანტა | 33 | 14 | 10 | 9 | 50-34 | 52 |
| 8.სამპდორია | 33 | 15 | 6 | 12 | 51-49 | 51 |
| 9.ფიორენტინა | 33 | 14 | 9 | 10 | 47-37 | 51 |
| 10.ტორინო | 33 | 11 | 14 | 8 | 47-39 | 47 |
| 11.ბოლონია | 33 | 11 | 5 | 17 | 37-44 | 38 |
| 12.ჯენოა | 33 | 10 | 8 | 15 | 26-33 | 38 |
| 13.სასუოლო | 33 | 8 | 10 | 15 | 24-53 | 34 |
| 14.უდინეზე | 33 | 10 | 3 | 20 | 42-54 | 33 |
| 15.კალიარი | 33 | 9 | 5 | 19 | 30-56 | 32 |
| 16.კიევო | 33 | 7 | 10 | 16 | 29-51 | 31 |
| 17.სპალი | 33 | 5 | 14 | 14 | 30-52 | 29 |
| 18.კროტონე | 33 | 7 | 7 | 19 | 30-58 | 28 |
| 19.ვერონა | 33 | 7 | 4 | 22 | 26-65 | 25 |
| 20.ბენევენტო | 33 | 4 | 2 | 27 | 28-78 | 14 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 21.04 მარსელი-ლილი | 1.35 | 4.8 | 9.0 |
| 21.04 ტულუზა-ანჟე | 2.25 | 3.1 | 3.4 |
| 21.04 გენგამი-მონაკო | 4.0 | 3.75 | 1.85 |
| 21.04 მეცი-კაენი | 2.25 | 3.3 | 3.2 |
| 21.04 ამიენი-სტრასბური | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 22.04 ნიცა-მონპელიე | 1.95 | 3.2 | 4.2 |
| 22.04 სტ.ეტიენი-ტრუა | 1.5 | 4.0 | 7.0 |
| 22.04 ბორდო-პსჟ | 6.0 | 4.4 | 1.5 |

**მარსელი-ლილი**

მარსელი: ***ტრავმ***-ბოუნა სარი, სტივ მანდადა, ადილ რამი

ლილი: ***ტრავმ***-ადამა სუმარუ, იბრაჰიმ ამადუ

**ტულუზა-ანჟე**

ტულუზა: ***ტრავმ***-იან ბოდიგერი

ანჟე: ***ტრავმ***-იოან ენდრიუ, ბილი კეტკეოპომპონე, პიერიკ კაპელე

**გენგამი-მონაკო**

გენგამი: ***ტრავმ***-მუსტაფა დიალო, ლუკას დეო, ფრანკ ტაბანო, იანის სალიბური, აბდულ კამარა

მონაკო:***ტრავმ***-დიეგო ბენალიო, კამილ გლიკი, კეიტა ბალდე, სტევან იოვეტიჩი, ადამა ტრაორე

**მეცი-კაენი**

მეცი: ***ტრავმ***-ჟან ჟოფრე, ბენუა ასოუ-ეკოტო, ტომას დიდილონი, მეტიუ უდოლი, აბლი იალოუ

კაენი: ***ტრავმ***-ტიმო სტავიცკი, იუსუფ აიტ ბენასერი, ენცო გრიველი, ადამა მბენგუე

**ამიენი-სტრასბური**

ამიენი: ***ტრავმ***-არავინ

სტრასბური:***ტრავმ***-კენი ლალა, ნუნო და კოსტა, კადრ მანგანე

**ნიცა-მონპელიე**

ნიცა: ***ტრავმ***-მარიო ბალოტელი, ვილიან ჩიპრიენი, კრისტოფ ჟალე

მონპელიე: ***ტრავმ***-არავინ

**სტ.ეტიენი-ტრუა**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-პიერ გაბრიელი

ტრუა: ***ტრავმ***-ბენჯამინ ნივე, ტრისტან დინომე

**ბორდო-პსჟ**

ბორდო: ***ტრავმ***-ალექსანდერ მენდი, ჟერომ პრიორი

პსჟ: ***ტრავმ***-ნეიმარი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 33 | 28 | 3 | 2 | 103-23 | 87 |
| 2.მონაკო | 33 | 21 | 7 | 5 | 78-41 | 70 |
| 3.ლიონი | 33 | 19 | 9 | 5 | 72-36 | 66 |
| 4.მარსელი | 33 | 19 | 9 | 5 | 67-40 | 66 |
| 5.რენი | 33 | 13 | 8 | 12 | 42-40 | 47 |
| 6.ნიცა | 33 | 13 | 8 | 12 | 44-45 | 47 |
| 7.მონპელიე | 33 | 10 | 16 | 7 | 32-29 | 46 |
| 8.სტ.ეტიენი | 33 | 12 | 10 | 11 | 38-45 | 46 |
| 9.ნანტი | 33 | 12 | 9 | 12 | 32-36 | 45 |
| 10.ბორდო | 33 | 12 | 7 | 14 | 39-43 | 43 |
| 11.გენგამი | 33 | 11 | 9 | 13 | 38-48 | 42 |
| 12.დიჟონი | 33 | 11 | 9 | 13 | 46-61 | 42 |
| 13.ანჟე | 33 | 8 | 13 | 12 | 38-44 | 37 |
| 14.ამიენი | 33 | 10 | 7 | 16 | 29-37 | 37 |
| 15.კაენი | 32 | 10 | 5 | 17 | 23-42 | 35 |
| 16.სტრასბური | 33 | 8 | 10 | 15 | 38-58 | 34 |
| 17.ტულუზა | 32 | 7 | 9 | 16 | 29-44 | 30 |
| 18.ლილი | 33 | 7 | 8 | 18 | 32-53 | 29 |
| 19.ტრუა | 33 | 8 | 5 | 20 | 27-49 | 29 |
| 20.მეცი | 33 | 6 | 7 | 20 | 31-64 | 25 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ქეთი დოლიძე ნიკა გვარამიას სასამართლოთი ემუქრება





– გვარამია მიეთრევა სასამართლოში, თან მალე, – აცხადებს რეჟისორი ქეთი დოლიძე და ამის მიზეზად ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას განცხადებას ასახელებს.

დაპირისპირება ქეთი დოლიძესა და ნიკა გვარამიას შორის მას შემდეგ დაიწყო, რაც ქეთი დოლიძემ სოციალურ ქსელში საჯარო განცხადება გააკეთა:

– აი, გვარამია რომ ხმას იღებს კიდევ, იმ ქვეყანას რა ვუთხარი, ვირთხა!

განცხადებას ნიკა გვარამია გამოეხმაურა:

– ვაიმე, ქალბატონო ქეთი, ხელზე კოცნით რომ მხვდებით და საჩუქრის გაშუქებას მთხოვთ, მაშინ ციყვად წარმომიდგენთ თუ როგორაა საქმე?

**ქეთი დოლიძე:**

– თქვენ გხვდებით ხელზე კოცნით? როდიდან? რაღაც რამსები აგრევიათ. აშუქებთ, თორემ ცუდ რამეს აშუქებთ? თქვენი ხელი კი ვის რაში სჭირდება?

**ნიკა გვარამია:**

– რამსები ამერია კი არა, ჩაქვესკნელდი, შე ბებერო უნიჭო ახვარო, თორემ აუქციონზე რომ შენი არ გამეტანა იუსტიციის მინისტრობის დროს, რაზე კოცნით მხვდებოდი და ნაციონალების სრულ სპექტრს რომ მიგზავნიდი, თქვენი ვარ, არ გამწიროთო, იმასაც მოვყვები ვრცლად და ხანგრძლივად. ენას ლაგამი ამოსდე, ჩემზე რომ დაწერ ოდესმე სადმე რამეს. დავამთავრე შენთან ლაპარაკი ქოცების მიერაც ტრ..ში პანღურამორტყმულო შერეკილო.

მოგვიანებით ქეთი დოლიძემ ნიკა გვარამიასთან დაკავშირებით ასეთი განცხადება გააკეთა:

– ახლა ვიფიქრე: გვარამიასთანა ნაძირალაზე როგორ უნდა დახარჯო ან ნერვი, ან გახადო პასუხის ღირსად! უბედური, სულით და ხორცით მახინჯი! დაიხრჩოს თავის ბოღმაში!

# გიორგი მიქაძე ჩინელმა არტისტმა ლიჰომ ვანგმა საკუთარ ბენდში მიიწვია



ქართველი მუსიკოსი გიორგი მიქაძე ჩინელმა არტისტმა, მსახიობმა, პროდიუსერმა და მომღერალმა ლიჰომ ვანგმა საკუთარ ბენდში მიიწვია.

უკვე გაწერილია ორწლიანი მსოფლიო ტურნე უდიდეს საკონცერტო სტადიონებსა და არენებზე.

მსოფლიო ტურნე 13 აპრილს დაიწყო და მეგაშოუ პეკინის ოლიმპიური სტადიონის კადილაკის არენაზე შედგა.

# ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია მიენიჭა




ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის შემდეგ ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმსაც ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია მიენიჭა.

დაბა სტეფანწმინდაში მდებარე სახლ-მუზეუმს ეს კატეგორია პრემიერ-მინისტრმა შესაბამისი ბრძანებით მიანიჭა.

ორსართულიანი შენობა ნაგებია მოვარდისფრო-მოყვითალო საშუალო ზომის თლილი ქვით. პირველ სართულზე ექვსი ოთახია, მეორეზე – ოთხი. ფასადის ცენტრალურ ღერძზე შენობაში შესასვლელი კარია გაჭრილი, ხოლო მეორე სართულზე აივანზე გამოსასვლელი თაღოვანი კარია. სართულები ერთმანეთისაგან გამოყოფილია აივნის ჰორიზონტალური სარტყლის მიერ, რომელიც მთელ სიგრძეზე გასდევს შენობის ფასადს. ღია აივნის ქვეშ ათი სვეტია სადა ოთხკუთხა კაპიტელებით. სართულები შიგნით ერთმანეთს უკავშირდება ხის კიბით. გარედან ქვის კიბეა, რომლითაც მეორე სართულზე ავდივართ. პირველ სართულზე მოხვედრა შესაძლებელია ნახევარწრიული კიბით, რომელიც მიდგმულია დაახლოებით ერთ მეტრამდე შემაღლებულ ქვის ციკოლზე. შენობას თავდაპირველად ბანური გადახურვა ჰქონია, ამჟამად იგი თუნუქის ორფერდა სახურავითაა გადახურული.

სახლ-მუზეუმის ეზოში ალექსანდრე ყაზბეგისა და მისი მშობლების საფლავებია. სახლის ეზოში XIX საუკუნის 70-იან წლებში აღმოჩნდა ცნობილი „ყაზბეგის განძი“, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის V-IV საუკუნეებით თარიღდება.

*გვერდი მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ინოლა გურგულიას ხსოვნის საღამო გაიმართება



21 აპრილს ცნობილი სიმღერების ავტორისა და მომღერლის ინოლა გურგულიას ხსოვნის საღამო გაიმართება.

საღამო ახალ ბარში, კოტე აფხაზის ქუჩაზე შედგება და სტუმრებს ხელოვანის შვილი დათო შუღლიაშვილი უმასპინძლებს.

შეკრებილი მსმენელი მოისმენს ინოლას სიმღერებსა და საინტერესო მოგონებებს მასზე.

– ეს საღამო ისევ დაგვარწმუნებს, რომ ქარი კვლავ არხევს ნაცნობ ლელიანს, – აცხადებენ ინოლა გურგულიას საღამოს ორგანიზატორები.

ინოლა გურგულიას ხსოვნის საღამოზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

# ასე ჟღერს გალაკტიონ ტაბიძის „მე და ღამე“ XXI საუკუნეში



ოპერის მომღერალმა გიორგი ონიანმა გალაკტიონ ტაბიძის ცნობილი ლექსი „მე და ღამე“ თანამედროვე XXI საუკუნეს შეუხამა და ლექსის ორიგინალური ვერსია შექმნა:

– ახლა, როცა ამ სტატუსს ვწერ, შუაღამე იწვის, დნება,

ფეისბუკის გადამკიდე თვალს რული არ მეკიდება,

სულ მკიდია გარეთ მზეა, თუ დამნათის სავსე მთვარე,

ჩვენ სამნი ვართ ქვეყანაზე: ფეისბუკი, მე და ღამე.

# „მხოლოდ ქართულის“ ჟიურის ორი წევრი დაემატება




ორშაბათიდან რუსთავი 2-ის ეთერში ახალი მუსიკალური შოუს „მხოლოდ ქართულის“ პირდაპირი ეთერი იწყება.

როგორც პროექტის ხელმძღვანელები აცხადებენ, ჟიურის წევრებს გიორგი უშიკიშვილს, სოფო ნიჟარაძესა და მარინა ბერიძეს კიდევ ორი ახალი წევრი დაემატება, თუმცა მათი ვინაობა ორშაბათამდე საიდუმლოა.

პროექტის მრავალრიცხოვანი მაყურებელი უკვე გამოთქვამს თავის მოსაზრებებს, თუ ვინ შეიძლება იყოს ჟიურის ახალი წევრი. ყველაზე ძალიან მაყურებელს ჟიურიში ნიკა გვარამიასა და გიორგი გაბუნიას ხილვა სურს.

„მხოლოდ ქართულის“ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, კონკურსანტებისთვის მხარდასაჭერ პირობებში მათი გულშემატკივრებისთვის ცვლილებებია. მეტი სამართლიანობისა და ობიექტურობისთვის ნებისმიერ მაყურებელს შეეძლება, თავის რჩეულს მხარი დაუჭიროს და დაურეკოს სრულიად უფასოდ, მაგრამ ერთი ტელეფონიდან მხოლოდ ერთი ზარის განხორციელება იქნება შესაძლებელი.

10 კონკურსანტიდან პროექტს დატოვებს ის მონაწილე, რომელსაც ყველაზე ცოტა ხმა ექნება. პირდაპირი ეთერი ყოველ ორშაბათს გავა რუსთავი 2-ის ეთერით და პროექტს რუსთაველის თეატრი უმასპინძლებს.

კონკურსანტებისთვის ბენდი „ნიუტონი“ დაუკრავს, „მხოლოდ ქართულის“ მუსიკალურ ორომტრიალში კი ზვიად ბოლქვაძეც იქნება ჩართული.

# მუსიკისა და დრამის თეატრს ახალი შენობა ექნება



თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრს ახალი შენობა ექნება. ყოფილ რკინიგზელთა კულტურის სახლში მასშტაბური სამუშაოები მიმდინარეობს.

კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც მოიცავს შენობა-ნაგებობის სრულ რეაბილიტაციას, ტექნიკური აღჭურვილობის მოწყობის საინჟირნო-საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებასა და პროექტის მიხედვით ტექნიკური აღჭურვისათვის საჭირო სამუშაოების ნაწილის განხორციელებას. ამ ეტაპზე ინტენსიურად მიმდინარეობს სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, თეატრის სცენისა და მაყურებელთა დარბაზის აღჭურვისთვის საჭირო საპროექტო-საინჟინრო პროექტის მომზადება.

მუსიკისა და დრამის თეატრის ახალი შენობა 2019 წელს გაიხსნება.

## ბრაზილიელმა ზვიგენის გამო ფეხი დაკარგა



ბრაზილიის პერნამბუკანოს შტატის მცხოვრებმა მამაკაცმა ზვიგენის თავდასხმის შემდეგ ფეხი დაკარგა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

34 წლის პაბლო დე მელა ოჯახთან ერთად პოპულარულ პლაჟ პიედადეზე ისვენებდა. მტაცებელი თევზი მას თავთხელში დაესხა. ზვიგენმა თავდაპირველად მამაკაცს პირი ფეხში ჩაავლო, ხოლო როდესაც ის მის მოგერიებას შეეცადა, ხელებში სწვდა.

დე მელა ორმა მამაკაცმა გადაარჩინა, რომლებიც შორიახლოს ბანაობდნენ. შემთხვევის ადგილზე გამოძახებულმა მაშველებმა დაშავებულს პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს, რის შემდეგაც ის შვეულმფრენით საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას ოთხი საათის განმავლობაში უკეთებდნენ ოპერაციას. ზვიგენის კბილებმა მამაკაცს ღრმა ჭრილობები მიაყენა სხეულზე. მარჯვენა ფეხი იმდენად ძლიერად იყო დაზიანებული, რომ ექიმები იძულებული გახდნენ, მისი ამპუტაცია გაეკეთებინათ.

ვარაუდობენ, რომ დე მელას ვეფხვისებური ან ჩაქუჩა ზვიგენი დაესხა თავს. ორივე სახეობის ზვიგენი აგრესიულობით გამოირჩევა და ადამიანისთვის საფრთხის შემცველია.

## ჩინელს მუცლიდან 20 წლის წინ გადაყლაპული სანთებელა ამოაცალეს




ჩინეთში ექიმებმა პაციენტის მუცლიდან ამოიღეს სანთებელა, რომელიც მან 20 წლის წინ გადაყლაპა. აღნიშნული ოპერაცია ვიდეოზე იქნა გადაღებული.

ოპერაცია ჩინეთის სიჩუანის პროვინციის ქალაქ ჩენდუში ჩატარდა. ვიდეო სპეციალური კამერით იქნა გადაღებული, რომელიც მამაკაცის ორგანიზმში იქნა შეყვანილი. მისი დახმარებით ეძებდნენ ექიმები გადაყლაპულ სანთებელას. ექიმების თქმით, მათ სანთებელის ამოღება მხოლოდ მეორე ჯერზე მოახერხეს, ოპერაციას კი სულ ათი წუთი დასჭირდა.

მამაკაცმა ექიმებს უთხრა, რომ სანთებელა უნებურად ჯერ კიდევ გასულ ასწლეულში გადაეყლაპა, თუმცა ამის გამო სამედიცინო დახმარებისთვის არ მიუმართავს, ვინაიდან ადრე არაფერი აწუხებდა. ახლა კი მას ტკივილები აწუხებდა და სისხლზე გადიოდა.

## ავსტრალიელმა მემკვიდრეობა ნარკოტიკებში გაანიავა და არ ნანობს



ავსტრალიელმა ქალმა ბროდი ბონდმა თავისი მრავალათასიანი მემკვიდრეობა ცხრა თვეში მთლიანად დახარჯა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მემკვიდრეობის უდიდესი ნაწილი ნარკოტიკების შეძენა-მოხმარებაში წავიდა.

ბონდმა მოახერხა, სასამართლოს მეშვეობით მამის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი მემკვიდრეობიდან 220 ათასი ავსტრალიური დოლარი მიეღო. თუმცა მამამ მას არაფერი დაუტოვა. ქალს ეს თანხა არსად და არაფერში დაუბანდებია და მხოლოდ გართობასა და ნარკოტიკებში დახარჯა. მან დაახლოებით 150 ათასი ავსტრალიური დოლარის მეტამფეტამინი შეიძინა.

დანარჩენი 70 ათასი ბონდმა ალკოჰოლში, ჩასაცმელებსა და მანქანაში დახარჯა, რომლითაც მალე ავარიაში მოყვა.

— მართალია, მას ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი არ ეკავა, მაგრამ ის მაინც მამაჩემი იყო და, მიუხედავად მწუხარებისა, რომელიც მე გადავიტანე, იმ სიტუაციიდან სარგებელი უნდა მიმეღო, — განმარტა მან.

## პავიანების გუნდმა კვლევითი ინსტიტუტიდან გაქცევა მოაწყო

ტეხასის ბიომედიცინის კვლევითი ინსტიტუტიდან, რომელიც ქალაქ სან-ანტონიოში მდებარეობს, ოთხი პავიანი გაიქცა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

პრიმატებმა ვოლიერიდან ინსტიტუტის ტერიტორიაზე გამოძრომა მოახერხეს, სადაც ცხოველებზე ახალ წამლებსა და ვაქცინებს ცდიან. ამისთვის მათ ერთობლივი ძალისხმევით მიაგორეს კედელთან 200-ლიტრიანი კასრი და ის ვერტიკალურად დააყენეს, კასრზე ასულები კედელზე გადახტნენ და თავისუფლებაზე აღმოჩნდნენ.

ოთხივე მაიმუნი უკან 30 წუთის განმავლობაში დააბრუნეს. ორმა პატარა ჭალამდე, რომელიც ინსტიტუტის მახლობლად მდებარეობს, მირბენა ვერ მოახერხა. მესამე ქალაქის ქუჩაში იპოვეს. მეოთხე, როგორც ეს მოგვიანებით გაირკვა, თავად დაბრუნდა ვოლიერში და სხვა პრიმატებს შეერია. ის მაშინ აღმოაჩინეს, როდესაც ცხოველების გადათვლა დაიწყეს.

— ეს მართლაც უნიკალური ინციდენტია, — განაცხადა ინსტიტუტის წარმომადგენელმა ლიზა კრუსმა, — ჩვენ პავიანებს კვლევებისთვის 50 წელზე მეტია ვუვლით.

მისი თქმით, დაწესებულების ტერიტორიაზე ამ სახეობის ათასზე მეტი წარმომადგენელი ჰყავთ და აქამდე გაქცევის შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.



## მაჩვმა შოტლანდიაში ციხესიმაგრე დაისაკუთრა



ორგანიზაცია შოტლანდიის ისტორიის თანამშრომლებმა, ბოლოს და ბოლოს, მოახერხეს მაჩვის დამარცხება, რომელმაც XVI საუკუნის ციხესიმაგრის ნანგრევები მიისაკუთრა.

რამდენიმე დღის წინ ციხესიმაგრე კრეიგნეტანის ქვეშ, გვირაბში, მიწის ნაყარი შენიშნეს, რომელიც იქ ცხოველმა დატოვა. მალე თავად მაჩვსაც მიაგნეს. როგორც ორგანიზაციაში განაცხადეს, ის ძალიან ბრაზიანი გამოდგა. სარდაფი, რომელშიც ცხოველმა ბინა დაიდო, ორგანიზატორებმა დამთვალიერებლებისთვის დახურეს. ისინი ორი დღის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდნენ დაუპატიჟებელი სტუმრის კატის საკვებითა და თაფლით გამოტყუებას. მესამე დღეს მათ გვირაბში სპეციალური ვიდეოკამერა ჩაუშვეს და აღმოჩნდა, რომ ცხოველმა მაინც დატოვა კრეიგნეტანი, თუმცა იქაურობა ნაგვით გაავსო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 21 აპრილისათვის



**ვერძი** — საკმაოდ ნეგატიური, მძიმე დღეა. ჯანმრთელობის პრობლემები გაქვთ. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. **კურო** — გაუფრთხილდით ფინანსებს. იყავით ხელმომჭირნე. სანამ რამეს იტყოდეთ, კარგად დაფიქრდით. **ტყუპები** — მოტყუების ალბათობა დიდია. ახალი ინფორმაცია შესაძლოა ცრუ აღმოჩნდეს. **კირჩხიბი** — დიდი წარმატება გელით პროფესიულ საქმიანობაში. შესაძლოა საინტერესო შემოთავაზება მიიღოთ. **ლომი** — სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. ქალაქგარეთ გასვლისაგან თავი შეიკავეთ. **ქალწული** — ჭორებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. საკუთარი მოვალეობების პირნათლად შესრულებაზე იფიქრეთ. **სასწორი** — კეთილისმყოფელი დღეა. ენერგიულად და ხალისიანად ხართ. ინტუიცია არ გიღალატებთ. **ღრიანკალი** — ქუჩაში მოძრაობისას იფრთხილეთ. დიდია ტრავმების მიღების ალბათობა. უკიდურესი მოქმედებებისაგან თავი შეიკავეთ. **მშვილდოსანი** — გადაწყვეტილების მიღებამდე მოსალოდნელი შედეგები გაითვალისწინეთ. ნუ იკამათებთ. **თხის რქა** — ფუქსავატ, ჭორიკანა ადამიანებს ერიდეთ. უმჯობესია, თუ სულიერ სრულყოფაზე იზრუნებთ. **მერწყული** — დაწყებული საქმე დაამთავრეთ. ერიდეთ უსაგნო საუბრებსა და შეხვედრებს. **თევზები** — ყოველმხრივ დადებითი დღეა. მეგობარს თქვენი დახმარება სჭირდება.

### 22 აპრილისათვის

**ვერძი** — ემოციების აყოლა არ ღირს. ყოველგვარი პრობლემა თავისთავად მოგვარდება. **კურო** — უხეშობა, მკვახე ლაპარაკი არ წაგადგებათ. კონფლიქტური დღეა. ეცადეთ, განმარტოვდეთ და დაისვენოთ. **ტყუპები** — ფინანსური მდგომარეობა უკიდურესად არამდგრადია. გეგმებს ნუ შეიმუშავებთ. **კირჩხიბი** — შეიცვალეთ გარემო, წადით სტუმრად ან გადით ბუნების წიაღში, ტყეში. **ლომი** — დაკავდით მხოლოდ იმ საქმით, რომელიც ხელგეწიფებათ. საკუთარ თავზე ზედმეტ პასუხისმგებლობას ნუ აიღებთ. **ქალწული** — ნუ იქნებით მერყევი. თუ თქვენს სიმართლეში დარწმუნებული ხართ, პოზიციები არ დათმოთ. **სასწორი** — ინტუიცია და საღი განსჯის უნარი სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებათ. რეალობას ნუ მოსწყდებით. **ღრიანკალი** — ახლობლების გარემოცვაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. მაქსიმალური თავდაჭერა გმართებთ. **მშვილდოსანი** — ემოციები აკონტროლეთ. ერიდეთ სხვების კრიტიკას, თორემ სკანდალი არ აგცდებათ. **თხის რქა** — პლანეტები გაფრთხილებენ: ექსტრავაგანტური მოქმედებები საჭირო არ არის. მამაკაცებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ბავშვებსა და ახლობლებს. **მერწყული** — ნუ იქნებით ზედაპირული. ღრმა ანალიზისა და დაფიქრების დროა. მშფოთვარე ემოციები მოთოკეთ. **თევზები** — ფინანსური მდგომარეობა რეალურად შეაფასეთ. პარტნიორთან უთანხმოება გაქვთ. მთელი ენერგია სამუშაოსკენ მიმართეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ბანკის მევალეთა სარეგისტრაციო დავთარი; 2. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება; 3. განსაკუთრებული წესით დამზადებული ცხვრის ყველი; 4. ნახშირბადის შემცველი მტკიცე ლითონი; 6. ამაღლებული სცენა მოდების ჩვენებისთვის; 9. სამხედრო ტექნიკის მწარმოებელი ქართული ფირმა; 11. ხავერდის მსგავსი ხშირხაოიანი ბამბის ქსოვილი; 15. ისტორიული ციხე-ქალაქი კახეთში; 16. უბანი ძველ თბილისში; 17. მდინარე აშშ-ში; 19. საფოსტო გზავნილი; 21. თეთრეულის, ტანსაცმლის მოსართავად გამოყენებული ორნამენტებიანი თხელი ბადურა ქსოვილი. 22. ამერიკელთა მეტსახელი ლათინურ ამერიკაში.

**თარაზულად:** 5. ქართველი მოქანდაკე ქალი; 7. ძვირფასი სარეწაო თევზი; 8. მთიანეთი ევროპაში; 10. დაბალი რანგის დიპლომატი; 12. ღვინის დანალექი; 13. ლათინური ანბანის ბოლო ასო; 14. ქრისტიანული ღვთისმეტყველების მოკლე გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით; 18. მამათა მონასტერი; 20. ქართული ნაციონალური კერძი; 23. მექანიკური მუსიკალური საკრავი; 24. ეგრისის მეფე; 25. პოპულარული ზამთრის კურორტი შვეიცარიაში; 26. მშენებლობაში გამოყენებული თიხისა და თაბაშირის გამომწვარი ნარევი; 27. ტვინში სისხლის მიმოქცევის მკვეთრი დარღვევა.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კომუნიკე; 2. თრთვილი; 3. აბული; 4. დარბაზი; 5. ალიგოტე; 10. ფოლკლორი; 11. სემირამიდა; 12. ისტვუდი; 15. ტრიპლექსი; 16. გრივნა; 17. ფორტუნა; 20. კიური.

**თარაზულად:** 6. ტოლერანტობა; 7. ბაზალტი; 8. არიფანა; 9. ვინილი; 13. იედო; 14. ჰენესი; 18. კვირინალე; 19. ფორდი; 21. სიმდი; 22. ლაზიკა; 23. ბატისკაფი; 24. შპინდელი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ტოშიბა; 2. სინაი; 3. ანიელი; 4. კამორა; 6. კოკაინი; 9. თეთრი; 11. ტერტერა; 15. შეკვეთილი; 16. ჯავარა; 17. ხიზილალა; 19. ილუმენი; 21. თემშარა; 22. შუამთა.

**თარაზულად:** 5. კოხინორი; 7. ოკულარი; 8. ამქარი; 10. მექსიკა; 12. რურუა; 13. სტეპი; 14. მორომშკინა; 18. ფეტვი; 20. კაზინო; 23. დუკერი; 24. მასა; 25. ბარელი; 26. თული; 27. პროჟექტი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**21 აპრილისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.4277 |
| ევრო | — 3.0028 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.449 |
| 100 რუსული რუბლი | — 3.9387 |

## ამინდის პროგნოზი 21 აპრილისთვის




3 აპრილიდან
79 ამბავი
ზვიად გამსახურდია




ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი




5 აპრილიდან
150 ამბავი
ნობელიანტი ფიზიკოსები
ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

## კოუტინიო: „მესი ცდილობს, მაქსიმალურად დამეხმაროს“




ბარსელონას ბრაზილიელმა ახალწვეულმა ფელიპე კოუტინიომ ადაპტაციის პერიოდზე ისაუბრა და თქვა რომ მესი მას ძალიან ეხმარება. კოუტინიოს თქმით, მესი ძალიან უშუალო ადამიანია და მასთან ურთიერთობა რთული არ არის.

— მას შემდეგ, რაც მესი გავიცანი, დავრწმუნდი, რომ ის კარგი ადამიანია და ყველა თანაგუნდელს ეხმარება. ბარსელონას თამაშის სტილი ძალიან მომწონს და იმედია, ამ გუნდში დიდხანს დავრჩები, — განაცხადა ფელიპე კოუტინიომ.

## ტანსრული ამერიკელი სამ თვეში დაკუნთულ ათლეტად იქცა



ამერიკელმა ოკლაჰომის შტატიდან, ჰანტერ ჰობსმა, სამ თვეში წონაში 19 კილოგრამი დაიკლო. საკუთარი გარდასახვის ამსახველი ვიდეო მან იუთუბიზე განათავსა.

თავად ჰობსმა ერთ-ერთი გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში ბოლო 12 კვირას „ცხოვრებაში ყველაზე რთული“ უწოდა. 24 წლის მამაკაცი თავისუფალი ვარჯიშით კვირაში ხუთ-ექვს დღეს იყო დაკავებული, ხოლო ყოველდღე 20-30 წუთს კარდიოვარჯიშებს უთმობდა.

ამავე დროს, მან აღიარა, რომ მისთვის ვარჯიშებზე უფრო რთული დიეტის დაცვა აღმოჩნდა. ყოველდღე ჰობსი ჭამდა ქათმის ხორცს, ბატატს, სალათს, ნიგოზს, სვამდა ცილის კოქტეილებს, რათა სავარჯიშო დარბაზში სიარულისთვის ძალები შეენარჩუნებინა. მან მთლიანად თქვა უარი ალკოჰოლსა და გაზიან სასმელებზე, სამაგიეროდ, ყოველდღე ძალიან ბევრ წყალს იღებდა.

მისი თქმით, საკუთარი თავისთვის გარკვეული მიზანი არ დაუსახავს.

— მე, უბრალოდ, გახდომა დავიწყე და ჩემთვის საინტერესო იყო, თუ რა შედეგი ექნებოდა ამ ყოველივეს, თუ 12 კვირის განმავლობაში ასე ვიცხოვრებდი. სიმართლე გითხრათ, მხიარული ცხოვრება ნამდვილად არ მქონია, — განაცხადა ჰობსმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



პაციენტი ექიმს ეკითხება:

— ექიმო, მიცანით?

— ვერა.

— ეს მე მოგყიდეთ სამედიცინო უნივერსიტეტის დამთავრების დიპლომი.

•••

მოსწავლემ მილიონი ლარი იპოვა და პოლიციას ჩააბარა. ატირებული დედა აცხადებს, რომ ამაყობს საკუთარი შვილით.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

— ჩვენი მთავრობის მეთაურის გამოსვლას რომ ვუსმენ, ასე მგონია, ის რომელიღაც სხვა ქვეყნის მთავრობის მეთაურია.

•••

დედა ქალიშვილს ეუბნება:

— შვილო, გადავწყვიტე, საქორწინოდ სამადგილიანი საწოლი გაჩუქო.

— დედიკო, რად მინდა სამადგილიანი საწოლი?

— ნუთუ ფიქრობ, რომ დედა მარტო დაგტოვებს იმ უცხო მამაკაცთან?!

•••

სასწავლო წლის ბოლოს სკოლიდან დაბრუნებული შვილი მამას ეუბნება:

— მამიკო, იცი, ძალიან გაგიმართლა.

— რა მოხდა?

— მომავალი სასწავლო წლისთვის ჩემთვის ახალი სასკოლო წიგნების შეძენა აღარ დაგჭირდება.

— რა?

— იმავე კლასში დავრჩი.

•••

ქმარი ცოლს ეკითხება:

— ძვირფასო, სიმართლე მითხარი, მღალატობ?

— რას ამბობ, ძვირფასო! სად მაქვს მაგის დრო? დილით სამსახურში გავრბივარ, სამსახურიდან — მაღაზიებში, შემდეგ სირბილით სახლში მოვდივარ, სადილი რომ მოგიმზადოთ და ყველა დაგანაყროთ. ჰოდა, აბა, როდისღა უნდა გიღალატო?!

— მაგას ხუთი წუთიც ეყოფა!

— ეს შენთან, თორემ...

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

— მინდა, რომ ჩემს კარში გოლი გაიტანო!

— მაშინ სასტვენს ჩაჰბერე და თამაში დაიწყება!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

თინ საქართველო
19 აპრილიდან
120 ამბავი
ალექსანდრე მაკედონელი
ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




## არსენ ვენგერი სეზონის ბოლოს არსენალს დატოვებს




არსენალმა ოფიციალური განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ სეზონის ბოლოს არსენ ვენგერი გუნდს დატოვებს. ვენგერმა ეს ინფორმაცია ოფიციალურად დაადასტურა და თქვა, რომ მისთვის იოლი არ იყო ამ გადაწყვეტილების მიღება.

ვენგერმა არსენალი 1996 წელს ჩაიბარა და მას შემდეგ გუნდთან ერთად ორჯერ მოიგო ინგლისის ჩემპიონატი. გარდა ამისა, არსენალი, ბოლო წლებს თუ არ ჩავთვლით, სტაბილურად ხვდებოდა პრემიერ ლიგის ოთხეულში.

2006 წელს არსენალი ჩემპიონთა ლიგის მოგებასთან ახლოს იყო, მაგრამ ვენგერის გუნდმა ფინალი წააგო ბარსელონასთან 1:2.

ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ გახდება არსენალის ახალი მწვრთნელი.

## რობერტო მანჩინი იტალიის ნაკრების მწვრთნელი გახდა




რობერტო მანჩინი მაისიდან ოფიციალურად იტალიის ნაკრების ახალი მწვრთნელი იქნება. ეს ინფორმაცია იტალიის საფეხბურთო ფედერაციამ დაადასტურა.

მანჩინიმ ზენიტთან კონტრაქტი გაწყვიტა და მალე იტალიაში ჩაფრინდება, სადაც კონტრაქტს ხელს მოაწერს.

მანჩინის ჯერჯერობით ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია და, სავარაუდოდ, ის რამდენიმე დღეში პრესკონფერენციას გამართავს, სადაც ბევრ საინტერესო თემაზე ისაუბრებს.

რობერტო მანჩინის თავის კარიერაში საკმაოდ ბევრი კლუბი ჰყავს გამოცვლილი და ის იტალიაში ძლიერ სპეციალისტად ითვლება.

## ანტუან გრიზმანს ატლეტიკოდან წასვლა სურს

მადრიდის ატლეტიკოს ფორვარდს ანტუან გრიზმანს ატლეტიკოდან წასვლა სურს. გრიზმანს ბარსელონას უკავშირებენ და, სავარაუდოდ, ეს ტრანსფერი ზაფხულში შედგება.



ატლეტიკოს მთავარმა მწვრთნელმა დიეგო სიმეონემ განაცხადა, რომ ატლეტიკო ყველაფერს გააკეთებს გრიზმანის შესანარჩუნებლად, მაგრამ თუ ფეხბურთელს წასვლა სურს, მაშინ მისი ძალით გაჩერება არ შეიძლება.

გრიზმანი ატლეტიკოს ღირსებას 2014 წლიდან იცავს და ის გუნდის ერთ-ერთი ლიდერია. მისი წასვლა ატლეტიკოს უდავოდ დაასუსტებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ გუნდში სხვა ძლიერი ფეხბურთელებიც არიან.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ნეფე-დედოფლის თანმხლები პირები ქორწილში; 2. უდიდესი ნეტარება ბუდისტური მოძღვრების მიხედვით; 3. დიდი ქალაქების, სამრეწველო ცენტრების ცაზე დაგროვილი შავი, სქელი ნისლი; 4. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 5. სახელმწიფოს ადმინისტრაციული ორგანო საბჭოთა კავშირში; 10. სამეფო საგვარეულო; 11. რაჭაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 12. თეთრი, ბოჭკოვანი მინერალი, ცეცხლგამძლე საიზოლაციო მასალა; 15. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 16. ქვის ხავსი; 17. ცხარე გემოს ფრანგული ცხვრის ყველი; 20. მთავარი მოედანი მილანში.

**თარაზულად:** 6. გულის მუშაობის გრაფიკული გამოსახულება; 7. ეკიპაჟის საცხოვრებელი სათავსო გემზე; 8. პეკინის ისტორიული სახელწოდება; 9. პოპულარული მაგიდის სათამაშო; 13. რაიონული ცენტრი იმერეთში; 14. ხელოვნური მიკროკლიმატის მქონე აპარატი, რომელშიც ათავსებენ დღენაკლულ ჩვილ ბავშვს; 18. ქართული ხალხური თამაში ბურთით; 19. ტოლგვერდა და ირიბკუთხა პარალელოგრამი; 21. უმცროსი მატროსი გემზე; 22. სქელი, ტყავისებრი ფოთლების მქონე ოთახის მარადმწვანე დეკორატიული მცენარე; 23. გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 24. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.



**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**